

საზოგადოებრივი მაუწყებელი

კვარტალური ანგარიში

აპრილი-ივნისი
2006

სარჩევი:

• პროგრამები - დემოკრატიული ღირებულებები	3
• კულტურულ-შემეცნებითი ღირებულებები	9
• მრავალფეროვნება და სამოქალაქო ინტეგრაცია	14
• საბავშვო მიმართულება	16
• სპორტული მიმართულება	19
• კინოპროგრამების მიმართულება	24
• მუსიკალური მიმართულება	26
• საგანმანათლებლო პროგრამები	29
• სხვადასხვა	30
• არქივი	36
• საზოგადოებასთან ურთიერთობა	39
• კვლევა	43
• საკადრო პოლიტიკა	44
• კომერციული საქმიანობა	47
• საერთაშორისო ურთიერთობები	49
• ფინანსური ანგარიში	50
• ტექნიკური გადაიარაღება	57

პროგრამები

დემოკრატიული ღირებულებები

პროგრამა “მოამბე”

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო სამსახური თემატურად მრავალფეროვან მასალებს სთავაზობდა მაყურებელს. მიმდინარე მთავარი მოვლენების, პოლიტიკის, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებისა და ეკონომიკის საკითხების გარდა, ამ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სოციალურ თემატიკასა და უმცირესობების პრობლემების გაშუქებას. ასევე ფართოდ შექდებოდა კონფლიქტების დარეგულირების პროგრამები და ადგილობრივი არჩევნებისთვის მზადება. ოპერატიულად შექდებოდა კრიმინალური და სამართლებრივი საკითხები, მომზადდა რეპორტაჟი პოლიციის ეთიკის კოდექსის შესახებ. მზადდებოდა რეპორტაჟები რეგიონებიდან გახშირებული მეწყერისა და წყალდიდობების შესახებ. სპეციალური რეპორტაჟი მომზადდა უსინათლოთა სოფლის პრობლემების შესახებ. საინფორმაციო სამსახურის პრიორიტეტად რჩება ნარკომანიასთან ბრძოლის თემა. აღნიშნულთან დაკავშირებით მომზადდა ექსკლუზიური სიუჟეტი საქართველოში სუბოტექსის შემოტანის გზებისა და ამ მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების შესახებ. ერთ-ერთი მთავარი თემა იყო ასევე სამეურვეო საბჭოს არჩევნები სკოლებში და განათლების სისტემის რეფორმა. აქტიურად შექდებოდა მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. “მოამბეში” მუდმივად კეთდება სიუჟეტები შემოსული წერილების საფუძველზე.

სოციალური თემატიკა

“მოამბემ” ამ პერიოდში ყურადღება გაამახვილია არაერთ პრობლემაზე, რომელიც რიგითი მოქალაქეების ყოველდღიურ ცხოვრებაში განსაკუთრებით აქტუალურია. საინფორმაციო სამსახურის ჟურნალისტებმა მოამზადეს პრობლემებზე ორიენტირებული და ამავე დროს ახსნა-განმარტებითი ტიპის სიუჟეტები, მაგალითად: შრომის კოდექსის პროექტთან, ტარიფების ზრდისა და სოციალურად დაუცველი ფენებისათვის გათვალისწინებული შედავათების, ლტოლვილთა შემწეობების და ჯანდაცვის სფეროში არსებულ პრობლემების შესახებ. “მოამბეში” გასულ სიუჟეტებს არაერთხელ მოჰყვა პირდაპირი რეაგირება.

“მოამბეში” აგრეთვე გაშუქდა ჯანდაცვის სისტემაში შექმნილი სიტუაცია, სამედიცინო შეცდომები, წამლების ფალსიფიკაცია, ორგანოების გადანერგვისთვის დაფინანსების შემცირება, სუბოტექსის მოხმარების პრობლემა, ცოფი და მისგან თავის დაღწევის საშუალებები, ფასების გაზრდა და მისი მიზეზები, თბილისის ტრანსპორტის სიმცირე, უმწეოთა სოციალური დახმარების პროგრამის დეტალები და ა.შ.

აქტიურად შექდებოდა დიფერენცირებული ტარიფის ძალაში შესვლის საკითხი – ჟურნალისტები ამზადებდნენ ახსნა-განმარტებით სიუჟეტებს გაძვირების მიზეზებისა და სოციალური დახმარებების თაობაზე. “მოამბემ” განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა საქართველოში სამედიცინო მომსახურების საკითხზე – აქტიურად აღევნებდა თვალყურს ე.წ. ექიმების საქმეებს. ჯანდაცვის სისტემის რეფორმა და ამ სფეროში მიმდინარე მოვლენები ასევე ერთ-ერთი პრიორიტეტული თემა იყო.

“მოამბეში” მომზადდა სიუჟეტი ელექტროენერჯის გარეშე დარჩენილი დენილების შესახებ, ასევე წყალდიდობის შედეგად სახურავჩამონგრეული სახლისა და მიწისძვრით დაზარალებულთა სახლიდან უმწეო ოჯახის გამოსახლების საფრთხის შესახებ.

უმცირესობების პრობლემები

“მოამბე” აქტიურად აშუქებდა უმცირესობების საკითხებსაც. მომზადდა არაერთი რეპორტაჟი ინვალიდების პრობლემებზე. მათ შორის მომზადდა ორი სიუჟეტი უსინათლოების შესახებ: ბიბლიოთეკა უსინათლოებისათვის და რეპორტაჟი სახელმწიფო სამსახურში დასაქმებული უსინათლოების შესახებ და ა. შ. ასევე ეთერში გავიდა რეპორტაჟი ინვალიდის ეტლის მოძრაობის გასაადვილებელი გზის ნაწილის აშენების აუცილებლობის შესახებ.

გავაშუქეთ ასევე საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების პრობლემები და მთავარი სადღესასწაულო თარიღები. მომზადდა რეპორტაჟი ახალქალაქიდან და ასევე სიუჟეტი ისრაელის დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით. 6 მაისს, გიორგობის დღესასწაულზე მომზადდა რეპორტაჟი ისრაელში წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაზე. მომზადდა სიუჟეტი უსინათლოებისთვის დღის ცენტრების შექმნის შესახებ.

სპეციალური გამოშვებები:

“მოამბე” აპრილის თვეში რამოდენიმეჯერ იმუშავა საგანგებო რეჟიმში. სპეციალური გამოშვებებით გავაშუქეთ საქართველოში სხვადასხვა ქვეყნის პრეზიდენტების ვიზიტები და სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები; ქართული ღვინის აკრძალვა მოსკოვში და ა.შ. “მოამბე” ასევე რამოდენიმეჯერ ეთერში სპეციალური გამოშვებით გავიდა შსს-ს მიერ კორტებზე ჩატარებული სპეცოპერაციის შემდეგ. “მოამბე” იყო ერთადერთი საინფორმაციო გამოშვება ქართულ მედია-სივრცეში, რომელიც ორი დღის მანძილზე შეუფერხებლად ახორციელებდა ჩართვებს იერუსალიმიდან, მაცხოვრის ტაძრიდან აღდგომის წინა დღეებში. ასევე მოხერხდა ცეცხლის გარდამოსვლის სასწაულის გაშუქება პირდაპირ ეთერში. 26 მაისს საინფორმაციო სამსახურმა “ნონ-სტოპის” რეჟიმში იმუშავა – დამატებითი საინფორმაციო გამოშვებების გარდა 12 - 14 საათამდე სამხედრო აღლუმი გაშუქდა პირდაპირ ეთერში საზოგადოებრივი არხის სამხედრო ექსპერტის კომენტარებით და პირდაპირი ჩართვებით აღლუმიდან.

2 მაისს მოამბის ეთერში გავიდა ექსკლუზიური რეპორტაჟი ლიტვიდან, ვილნიუსიდან ოკუპაციის მუზეუმის, ხოლო 25 – 26 – 27 მაისს საქართველოში ახლადგახსნილი ოკუპაციის მუზეუმისა და მისი ექსპონატების ისტორიის შესახებ.

რეგიონული ქსელი

გაიზარდა რეგიონალური ბიუროების მიერ მომზადებული სიუჟეტების ხვედრი საინფორმაციო გამოშვებებში. ეთერში გავიდა არაერთი საინტერესო სიუჟეტი რეგიონებიდან, მათ შორის შაბათის გაფართოებულ ფორმატში: მაგ; რეგიონული მუზეუმები და ადგილებზე ექსპონატების დაცვის პრობლემებზე, წყალდიდობებზე და გლეხების პრობლემებზე. ეკოლოგიის საკითხებზე და ჯანდაცვის სფეროს პრობლემებზე. რეგიონების ჟურნალისტები მუშაობენ დამოუკიდებლად და ასევე თბილისის სათავო ოფისთან თანამშრომლობით.

საინფორმაციო სამსახურის მიერ ექსკლუზიურად გაშუქდა ქართველი და აზერბაიჯანელი ქალების ერთობლივი აქცია (3–8 მაისი) “ბაქო–თბილისი-

ჯეიჰანი, მშვიდობისა და უსაფრთხოების გარანტია” – მომზადდა ორი რეპორტაჟი თურქეთიდან. მომზადდა ექსკლუზიური რეპორტაჟები თურქეთში მცხოვრები ქართული მოსახლეობის შესახებ – თურქეთის ქართული კულტურის ცენტრი და ქართული სოფლები გულჯუკის რაიონში.

მოამბის გადამღები ჯგუფი პირველი შევიდა წყალტუბოს მღვიმეში, რის შესახებ მომზადდა რეპორტაჟი. ჯგუფი გაიგზავნა სვანეთში საპატრიარქოს ინიციატივით გამართულ კონფერენციაზე, რომელთან დაკავშირებითაც მომზადდა ორი ექსკლუზიური სიუჟეტი. მათ შორის, მღვეთაში აღდგენილი ეკლესიის შესახებ.

განათლების რეფორმა

განათლების თემა კვლავ საინფორმაციო გამოშვებების ერთ-ერთი მთავარი თემაა. მომზადდა სიუჟეტები უნივერსიტეტში მიმდინარე რეფორმების შესახებ, ასევე სიუჟეტი მასწავლებლებისთვის შემოღებული ახალი სტანდარტების შესახებ, სკოლებში სამეურვეო საბჭოების საპილოტო არჩევნებზე, ახალ წესებზე აბიტურიენტებისთვის, პროფესიული სწავლების პრობლემებსა და პერსპექტივებზე. ფართოდ გაშუქდა სამეურვეო საბჭოს არჩევნები სკოლებში – მოამბე არა მარტო აკვირდებოდა არჩევნებს, არამედ წინასწარ მოამზადა არაერთი სიუჟეტი სამეურვეო საბჭოების მნიშვნელობისა და ფუნქციების შესახებ. სამეურვეო საბჭოების არჩევის თემას საინფორმაციო სამსახური არაერთხელ შეეხო. არჩევნების დღეს კი საინფორმაციო ფაქტობრივად საგანგებო რეჟიმში მუშაობდა, დღის განმავლობაში ჩართვები საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სკოლებიდან კეთდებოდა.

საგარეო პოლიტიკა და კონფლიქტები

რუსეთ-საქართველოს გართულებული ურთიერთობების ფონზე “მოამბე” განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა საგარეო პოლიტიკისა და ევროპულ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციის, ასევე ეკონომიკური ურთიერთობების საკითხს. საინფორმაციო სამსახურმა გააშუქა ოსეთში რუსეთის ჯარების გაყვანასთან დაკავშირებით განვითარებულ მოვლენები. გადამღები ჯგუფი შევიდა ცხინვალში, გაკეთდა რამოდენიმე ჩართვა ცხინვალის მისადგომებიდან. 13 ივნისს გაშუქდა პუტინისა და სააკაშვილის შეხვედრა. ღამით გავიდა შეხვედრის შემდეგ გამართული პრეს-კონფერენციის ამსახველი სპეციალური გამოშვება.

“ქართული დიასპორა – ხიდი მსოფლიოსთან”

25-27 მაისს – განსაკუთრებულ რეჟიმში გაშუქდა უცხოეთში ქართული დიასპორების წარმომადგენლების ღონისძიებები საქართველოში. საინფორმაციო გამოშვებებში მომზადდა სამი სიუჟეტი, დღის გამოშვებებში გავიდა პირდაპირი ჩართვები ღონისძიებებიდან. 27 მაისს პირდაპირ ეთერში გავიდა ორსაათიანი თოქ-შოუ “ქართული დიასპორა – ხიდი მსოფლიოსთან”, სადაც ქართული დიასპორის წარმომადგენლებმა ისაუბრეს ქართული სათვისტომოების პრობლემებზე მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. გადაცემაში პირდაპირი სატელეფონო ზარების მეშვეობით ერთვებოდნენ უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეები.

“არგუმენტი”

თოქ-შოუს “არგუმენტი” ყოველ კვირას, 8 საათზე მიმოიხილავს საზოგადოებისთვის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს. თოქ-შოუს თემები კვირის აქტუალური მოვლენების შესაბამისად ირჩევა. სტუდიაში მოწვეული არიან სტუმრები, პოლიტიკოსები და ექსპერტები, რომლებიც პირდაპირ ეთერში მსჯელობენ მიმდინარე მოვლენების შესახებ. მხარეთა პოზიციების გარდა, ტელემეჯურებელს შესაძლებლობა აქვს ექსპერტული შეფასებებიც მოისმინოს.

ამ პერიოდში თოქ-შოუ შემდეგ თემებს შეეხო: **ოპოზიციის სტრატეგია** – სტუმრები: დათო უსუფაშვილი, სალომე ზურაბიშვილი, გივი თარგამაძე, დათო დარჩიაშვილი, პაატა ვეშაპიძე, ჩართვა - პაველ შერემეტი; **განათლების რეფორმა** – სტუმრები: დათო ზურაბიშვილი, ბელა წიფურია, გიგა ზედანია, ნათელა სახოკია ამავე გადაცემის მეორე ბლოკში 9 აპრილის თემაზე ისაუბრა გია ნოდიაშვილი; **ქართული ღვინის აკრძალვა მოსკოვში** – სტუმრები: კახა ბენდუქიძე, მამუკა წერეთელი, ჩართვა ვაშინგტონიდან, ზურაბ ტყემალაძე, დათო ბაქრაძე; **სასამართლო რეფორმა** – სტუმრები: კოტე კუბლაშვილი, გიორგი მარგველაშვილი, გიორგი მელაძე; **თვითმმართველობა** – სტუმრები: ვანო ხუხუნაიშვილი, ჯანრი კაშია, აკო მინაშვილი, დათო ნარმანია.

მაისში თოქ-შოუში შემდეგი თემები გაშუქდა: **დსთ-დან გასვლა** - სტუმრები: ირაკლი იაშვილი, კოტე გაბაშვილი, შალვა ნათელაშვილი, ალექსანდრე რონდელი, ჩართვა მოკოვიდან - ლეონიდ რაძიხოვსკი. **პრივატიზაცია** - სტუმრები: გიორგი ცაგარეიშვილი, კახა დამენია, გია ხუხაშვილი, რევაზ საყვარიშვილი; **კონფლიქტების მოგვარება** - სტუმრები: გიორგი ვოლსკი, გიორგი ხევიაშვილი, გიორგი გაჩეჩილაძე, დავით მადრაძე, ზურაბ შენგელია; **რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები** - სტუმრები: ნიკა გვარამია, ლევან ბერძენიშვილი, დავით აფრასიძე, ჩართვა პარიზიდან: ვლადიმერ ჟირინოვსკი, ჩართვა ვაშინგტონიდან: ზეინო ბარანი – ჰადსონის ინსტიტუტის ევრაზიული პოლიტიკის ცენტრის ხელმძღვანელი. ამ გადაცემაში გაკეთებულ განცხადებებს დიდი გამოხმაურება მოჰყვა საზოგადოებასა და ხელისუფლებაში.

ივნისი, **თვითმმართველობის არჩევნების და მერობის კანდიდატები** – სტუმრები: კობა დავითაშვილი, დავით ბერძენიშვილი, მამუკა კაციტაძე, მიხეილ მაჭავარიანი, პაველ კუბლაშვილი, დავით მელუა, კოტე კანდელაკი; **სახალხო დამცველისა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის დებატები** – სტუმრები: სოზარ სუბარი, ბაჩო ახალაია, დავით დარჩიაშვილი; **საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის შესხედრა** - სტუმრები: დავით გამყრელიძე, დავით უსუფაშვილი, გიგა ბოკერია, ალექსანდრე რონდელი, ოლგა რომანოვა; **რეფორმა უნივერსიტეტში** - სტუმრები: გიორგი გოგოლაშვილი, დავით აფრასიძე, გიორგი ხუბუა, კახა ბენდუქიძე, დავით ზურაბიშვილი, ბელა წიფურია.

“მსოფლიო დღეს”

დავით დარჩიაშვილის საავტორო თოქ-შოუ “მსოფლიო დღეს” საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს მიმოიხილავს. ამ პერიოდში თოქ-შოუს თემები იყო: **რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები** - სტუმრები: გიორგი ხელაშვილი, მერაბ კაკულია, ანატოლი ციგანოვის ჩართვა მოსკოვიდან; **კონფლიქტები** – სტუმრები: რეზო ადამია, პაატა ზაქარეიშვილი, ამავე გადაცემის მეორე ბლოკში თეა შურღაია ისაუბრა ირანის თემაზე, ვენიდან ჩაერთვო ვიქტორ დოლიძე; **იტალია-საფრანგეთი, შრომის კოდექსი** – სტუმრები:

კახა ბენდუქიძე, დავით კერესელიძე და თორნიკე გორდაძე ჩართვა პარიზიდან; **საქართველოს ინტეგრაცია ნატოში** – სტუმრები: მამუკა კუდავა, დათო აფრასიძე, ჩართვა ბრიუსელიდან რეზო ბეშიძე. მაისში გადაცემის თემატიკა იყო: **ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი და საქართველო** - სტუმრები: მამუკა კუდავა, თორნიკე შარაშენიძე, რევაზ ბეშიძე; **ერაყი და საქართველოს მონაწილეობა ერთობლივ ოპერაციაში** - სტუმრები: ვახტანგ კაპანაძე, დავით აფრასიძე, ჩართვა ვაშინგტონიდან: დავით სიხარულიძე; **ევროკავშირი** - სტუმრები: კახა გოგოლაშვილი, ვასილ ჭყოიძე; **ტერორიზმი და ახლო აღმოსავლეთი** - სტუმრები: ბადრი ნაჭყებია, რევაზ გაჩეჩილაძე, ჩართვა თელ-ავივიდან: შალომ არავი - კონტრტერორიზმის საერთაშორისო პოლიტიკის ინსტიტუტის წამყვანი სპეციალისტი. **სუუამი** - სტუმრები: ვალერი ჩეჩელაშვილი, არჩილ გეგეშიძე. ივნისი, **აფხაზეთი და სამშვიდობო გეგმა** - სტუმრები: გიგა ბოკერია, პაატა ზაქარეიშვილი, დონოთან კოენი; **ნატო და უკრაინა** - სტუმრები: ნიკა რურუა, შალვა ფინხაძე; **გლობალური პრივატიზაცია** - სტუმრები: არჩილ მელიქაძე, გია ხუხაშვილი; **გლობალური ტენდენციები მსოფლიო განათლების სისტემაში** - სტუმრები: გიგი თევზაძე, გია მახაბელი.

დოკუმენტური ფილმები

დასრულდა მუშაობა ფილმებზე ციკლიდან **”ქართველი ჟურნალისტის თვალთ დანახული ევროკავშირის ქვეყნები”**. ფილმის გადაღებები ლიტვასა და სლოვაკეთში მიმდინარეობდა. ორივე ფილმი ეთერში გავა თოქ-შოუს ფორმატში. ფილმის ჩვენების შემდეგ სტუდიაში მოწვეული სტუმრები განიხილავენ ევროკავშირში გაწევრიანებული პოსტ-საბჭოთა რესპუბლიკების გამოცდილებას, გაავლენ პარალელებს საქართველოსთან. აღნიშნული პროექტი ევროკავშირის მხარდაჭერით ხორციელდება.

„გზა ნატოსკენ“

გიორგი ცხვიტავას საავტორო ფილმების ციკლი „გზა ნატოსკენ“ საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში 4 აპრილიდან გადის. დოკუმენტური ფილმები მოგვითხრობს საქართველოს თანამშრომლობაზე ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსთან, ურთიერთობების განვითარებაზე 1945 წლიდან დღემდე. ციკლი შედგება რამდენიმე სრულმეტრაჟიანი (ქრონომეტრაჟი 52 წთ) და მოკლემეტრაჟიანი (15-30 წთ) ფილმისგან. სექტემბრიდან სრულმეტრაჟიანი ფილმები გავა ყოველთვიურად, მოკლემეტრაჟიანი კი ყოველკვირეულად.

პირველი ფილმი „ბერლინიდან ბერლინამდე“ მოგვითხრობდა ნატო-ს განვითარების ისტორიას 1994 წლამდე. ეთერში უკვე გავიდა კიდევ სამი ფილმი “ამბოხებიდან ევოლუციამდე”, “ბაზა ნომერი 62” და “ბაზა ნომერი 12”.

ფილმების გადაღება ხდება იმ ადგილზე, სადაც შესაბამისი მოვლენები ვითარდებოდა. (მაგალითისათვის ბაზა ნომერი 62 – გადაღებული იყო ახალქალაქში). განსაკუთრებული რეზონანსულობით გამოირჩეოდა ფილმები, რომლებიც ახალციხისა და ბათუმის ბაზებს შეეხებოდა. ფილმები მოგვითხრობს, თუ რა მიზნით შეიქმნა თავის დროზე აღნიშნული ბაზები; იმ ხელისშემშლელ ფაქტორებზე, რომელთაც გამიზნულად ქმნიდა რუსული სამხედრო ბაზა სამცხე-ჯავახეთში და საქართველოსთან მოსაზღვრე ნატოს წევრ თურქეთის რესპუბლიკასთან.

ფილმებს დიდი რეზონანსი მოჰყვა არა მარტო საქართველოში, არამედ ნატოშიც. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ნატოს საინფორმაციო ცენტრმა, ფილმების არაერთი ჩვენება მოაწყო სტუდენტებისა და სკოლის

მოსწავლეებისთვის, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობებისთვის და სხვა ჯგუფებისთვის. მარტო პირველი ფილმი “ბერლინიდან ბერლინამდე” 4292 ადამიანმა ნახა. ნატოს შტაბ-ბინაში ხასგასმით აღინიშნა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის ინიციატივა წარმატებული პროექტია და აღიანსთან საქართველოს დაახლოებას უწყობს ხელს. ამჟამად, მუშაობა მიმდინარეობს სრულმეტრაჟიან დოკუმენტურ ფილმზე “უკრაინის გზა ნატოსკენ”, რომელიც ეთერში სექტემბერში გავა.

“ღია ფორუმი”

აპრილში დაიწყო მუშაობა ახალ პროექტზე “ღია ფორუმი”, რომელიც ეთერში 1 მაისიდან გადის. ღია ფორუმის მიზანია ხელი შეუწყოს საზოგადოების მონაწილეობას საჯარო დისკუსიაში და დღის მთავარ მოვლენებთან დაკავშირებით მოქალაქეებს საკუთარი აზრის გამოხატვის შესაძლებლობა მისცეს. ფორუმის თემას თავად მაყურებლები განსაზღვრავენ - მათ შეუძლიათ ისაუბრონ მათთვის ყველაზე მნიშვნელოვან და პრობლემატურ საკითხზე. მოქალაქეები საკუთარ აზრს ტელეფონის, ელექტრონული ფოსტისა და მოკლე ტექსტური შეტყობინებების საშუალებით აფიქსერებენ, რაც 2-3 წუთიანი ჩანართების სახით ეთერში სამჯერ გადის: 17:55; 19:55 და 21:55 საათზე.

კულტურულ-შემეცნებითი ღირებულებები

“საუკუნის პორტრეტები”

ძალიან მოკლე პერიოდში დოკუმენტური ფილმების ციკლმა “საუკუნის პორტრეტები” საკმაოდ მრავალრიცხოვანი მაყურებელი შეიძინა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ყველაზე წარმატებული და მაღალრეიტინგული პროექტი გახდა. ამ პერიოდში ეთერში გავიდა დოკუმენტური ფილმები - გალაკტიონი, ვერიკო ანჯაფარაძე, ივანე ჯავახიშვილი, ეროსი მანჯგალაძე, ლადო გუდიაშვილი, ვახტანგ ჭაბუკიანი, ავლიპი ზურაბიშვილი, დოდო აბაშიძე, კირილ II, მიხეილ მესხი, ჰამლეტ გონაშვილი, მიხეილ თუმანიშვილი, მიხეილ ხერგიანი, ავთო ვარაზი, ნოდარ დუმბაძე და იპოლიტე ხვიჩია. მაყურებელთა განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა ფილმმა **კირილ II**, რომელიც რუსეთის სინოდის მიერ 1811 წელს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებას, ავტოკეფალიის აღდგენისთვის ბრძოლასა და კირილ II-ის მკვლელობის ვერსიებს უკავშირდება.

„ლატერნა მაგიკა“

14 აპრილიდან, ყოველ პარასკევს 22:00 სთ-ზე, ეთერში გადის საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი პროექტი „ლატერნა მაგიკა“. გადაცემა, რომელსაც კინორეჟისორი ნანა ჯანელიძე უძღვება, წარმოდგენს ქართული და უცხოური კინოკლასიკის ნიმუშებს. გადაცემის ფორმატი ითვალისწინებს ფილმის ჩვენებას და შესავალ ნაწილს, სადაც ავტორი და წამყვანი გადაცემაში მოწვეულ სტუმართან ერთად წარადგენენ ფილმს.

აპრილი-ივნისის პერიოდში გადაცემის ფარგლებში შემდეგი ფილმები გავიდა:

14 აპრილს - „გართობის დრო“ (რეჟ. შაკ ტატი)

21 აპრილს - „მეშიდე ბეჭედი“ (რეჟ. ინგმარ ბერგმანი) გადაცემაში მოწვეული იყო სტუმარი, პროფესორი ზურაბ კიკნაძე;

28 აპრილს - „მამაკაცი და ქალი“ (რეჟ. კლოდ ლელუსი) გადაცემაში მოწვეული იყო დრამატურგი ლაშა თაბუკაშვილი;

5 მაისს - „რებეკა“ (რეჟ. ალფრედ ჰიჩკოკი)

12 მაისს - „ბიჭები და გოგონები“ (რეჟ. ჯოზეფ მანკევიჩი), გადაცემაში

მოწვეული იყო ქორეოგრაფი გია მარდანიას;

19 მაისს - „მებაღე“ (რეჟ. პოლ ეშბი), გადაცემაში მოწვეული იყო პოლიტოლოგი სოსო ცისკარიშვილი;

26 მაისს - „უკანასკნელი მასკარადი“ (რეჟ. მიხეილ ჭიაურელი), გადაცემაში მოწვეული იყო ისტორიკოსი გოჩა საითიძე;

2 ივნისს - „რაც ოთარი წავიდა“ (რეჟ. უიული ბერტუჩელი)

9 ივნისს - „სასტუმრო ნორდი“ (რეჟ. მარსელ კარნე)

16 ივნისს - „მულენ რუჟი“ (რეჟ. ჯონ ჰიუსტონი)

24 ივნისს - „ქალი კამელიებით“ (რეჟ. ჯორჯ კიუკორი)

“ფოლკლორი”

28 მაისიდან ეთერში გადის ყოველკვირეული მუსიკალური გადაცემა “ფოლკლორი”. გადაცემა ხალხური მუსიკის პოპულარიზაციას ისახავს მიზნად და ყველა ასაკის მაყურებელზეა გათვლილი. გადაცემა მიმოიხილავს, როგორც ხალხური მუსიკის ტრადიციებს, ასევე ფოლკლორულ სიახლეებს. გადაცემის

წამყვანი და ავტორია ანსამბლ “ქართული ხმების” სოლისტი - დავით გოგოლაშვილი. წამყვანი გადაცემაში იწვევს გამოჩენილ და დამწვევ ფოლკლორისტებს, კრიტიკოსებს, მუსიკალურ კოლექტივებს. ჟურნალისტი თემურ კვიციანი მთელი კვირის განმავლობაში ამზადებს საინტერესო რეპორტაჟებს, აშუქებს ფოლკლორთან დაკავშირებულ სხვადასხვა მოვლენებს და მაყურებელს აცნობს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ფოლკლორისტებს (მომღერლებს, მოცეკვავეებს, ინსტრუმენტების ოსტატებს, მოწაირეებს და ა.შ.), ასევე მრავალფეროვან მუსიკალურ ტრადიციებს. პირველ გადაცემაში მონაწილეობა მიიღო ანსამბლმა “ხორუმი”, ხოლო სტუმრად იმყოფებოდნენ თამაზ მამალაძე და ზაზა კორინთელი (ზუმბა). შემდეგ გადაცემაში სტუმრად იყო ანსამბლი “ფესვები”, დათო უზნაძემ და გივი ჭიჭინაძემ ისაუბრეს ფოლკლორული კოლექტივის მენეჯმენტზე. მომდევნო გადაცემა დაეთმო გარემიქსებული ფოლკლორის თემას. სტუმრად მოწვეული იყო აგრეთვე ანსამბლი “შიდკაცა” და მისი წევრები. გადაცემა “ფოლკლორი”, ისევე როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის მთელი მუსიკალური რედაქცია ემზადება ფოლკლორული ფესივალისთვის “არტ გენი”, რომელიც 14 ივლისს დაიწყება. გადაცემაში მოწვეული იყვნენ ფესივალის ორგანიზატორები.

საქართველოს ისტორიული ძეგლები

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მოამზადა 40-50 წამიანი ჩანართები (ტინერები), რომლებიც საქართველოში არსებული მრავალფეროვნების წარმოჩენასა და ისტორიულ-კულტურული ღირებულებების მქონე ძეგლების შესახებ საზოგადოების გათვითცნობიერებას ისახავს მიზნად. საზოგადოებრივი მაუწყებლის წამყვანები, რომელთაც მაყურებელი სხვადასხვა გადაცემებიდან იცნობს, მოგვითხრობენ უფლისციხის, სვეტიცხოვლის, სინაგოგის, მენეთის და სხვა ძეგლების შესახებ.

“შენობები გვახსენებენ”

გადაცემა “შენობები გვახსენებენ” მოგვითხრობს თბილისის ძველი შენობების ისტორიას, ასევე იმ ცნობილი ადამიანების ბიოგრაფიებს, რომლებიც საუკუნის დასაწყისში თბილისში სხვადასხვა შენობებში ცხოვრობდნენ. 25 წუთის განმავლობაში პროექტის ავტორი და წამყვანი თარხუჯ ჯავახიშვილი განიხილავს, როგორც შენობის არქიტექტურულ სტილსა და ღირებულებებს, ასევე მის ისტორიას. იმ შემთხვევაში, თუ გადაცემის თემა ცნობილი ადამიანის საცხოვრებელი სახლია, მეტი ყურადღება ეთმობა ამ პიროვნების ბიოგრაფიას და შენობის ღირებულები მეორე პლანზე გადადის. პროექტის “შენობები გვახსენებენ” ჩაწერა ხდება კონკრეტულად იმ შენობაში, რომელსაც გადაცემა ეძღვნება. წამყვანის გარდა ყოველ გადაცემაში არის ერთი ან მეტი რესპოდენტი, რომელიც თემატიკის მიხედვით ირჩევა.

“შენობები გვახსენებენ” პირველად 6 მაისს გავიდა ეთერში. პირველი გადაცემა მარჯანიშვილის თეატრს მიეძღვნა. გადაცემის რესპოდენტი იყო გოგი ქავთარაძე.

მეორე გადაცემა საჯარო ბიბლიოთეკის შენობას დაეთმო. მესამე გადაცემა მიეძღვნა სახლს ინგოროყვას ქუჩაზე. ინგოროყვას 18 ნომერში ცხოვრობდნენ გამოჩენილი ადამიანები – პავლე ინგოროყვა, მარჯორი და ოლივერ უორდროპები, მიქაელ ტარივერდიევი. წამყვანმა მიმოიხილა ამ ადამიანების

მღვაწეობა და ნაშრომები, ასევე საქართველოს დამოუკიდებლობის წლები, რომლებიც ამ სახელზე აისახა. რესპოდენტები – გულბათ ტორაძე (მუსიკათმცოდნე), დიმიტრი შველიძე (ისტორიკოსი), ლეილა თაქთაქიშვილი (ფილოლოგი).

3 ივნისს გავიდა გადაცემა ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შესახებ. გადაცემაში მოთხრობილია საოპერო ჟანრისა და საოპერო შენობების ისტორია საქართველოში. თეატრის დირექტორმა დათო საყვარელიძემ ისაუბრა თეატრის სამომავლო გეგმებზე.

10 ივნისს “შენობები გვიამბობენ” მიეძღვნა ვალერიან გუნიას სახლს გალაკტიონ ტაბიძის ქუჩაზე. ვალერიან გუნიას შემოქმედების და საქმიანობის შესახებ ისაუბრა თეატრმცოდნე ნათელა ურუშაძემ.

17 ივნისს მაყურებელს კონსერვატორიის შენობის შესახებ ვუამბოთ. გადაცემაში მოთხრობილი იყო - სამუსიკო განათლების ისტორიასა და ამ საქმის ორგანიზატორებსა და პედაგოგებზე. რესპოდენტი – ნოდარ ანდლუაძე.

ივნისის ბოლო გადაცემა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს მიეძღვნა. გადაცემაში ისაუბრეს შემდეგ თემებზე - სამუზეუმო საქმის ისტორია – ისტორიკოსი გურამ ჩხაიძე, არქეოლოგიური კვლევები – არქეოლოგი იულონ გაგოშიძე, მუზეუმის სამომავლო გეგმებზე კი ისაუბრა დირექტორმა დავით ლორთქიფანიძემ.

„მესამე ზარი“

10 აპრილიდან ყოველ ორშაბათს 13.05 სთ-ზე საზოგადოებრივი რადიოს ეთერში საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული რადიოგადაცემა „მესამე ზარი“. კულტურულ-საგანმანათლებლო გადაცემა “მესამე ზარი” თეატრალურ თემებს ეძღვნება: თეატრალური კრიტიკა, ახალგაზრდა მსახიობების, რეჟისორების, დრამატურგების გაცნობა, თეატრალური პრემიერები და „კლასიკად“ ქცეული სპექტაკლები. საპრემიერო სპექტაკლების ფრაგმენტების დემონსტრირებისას პროგრამის წამყვანსა და მოწვეულ სტუმრებს შორის იმართება საუბარი შემოქმედებით პროცესზე, მასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ზოგადად თეატრალურ ცხოვრებაზე.

„სახლი 100,9“

5 აპრილიდან ყოველ ოთხშაბათს საზოგადოებრივი რადიოს მეორე არხის ეთერით გადაიცემა 55 წუთიანი მუსიკალურ-შემეცნებითი გადაცემა „სახლი 100, 9“. გადაცემა ქართულ ხალხურ შემოქმედებას ეძღვნება და მის პოპულარიზაციას ისახავს მიზნად. მასში მონაწილეობენ ხალხური შემოქმედების ოსტატები, შემსრულებლები, ხელოსნები, ზეპირსიტყვიერების წარმომადგენლები, ეთნომუსიკოლოგები, მოყვარულები. მსმენელი ყოველ გადაცემაში ეცნობა ხალხური შემოქმედების ახალ ამბებს, შემოქმედებითი კოლექტივების გასტროლებს, ერთი ქართული ხალხური სიმღერის ისტორიას, ცნობილი შემოქმედების პორტრეტებსა და მათთან ინტერვიუებს. თანამედროვე ესტრადის მომღერლები მსმენელს ქართულ ხალხურ სიმღერებს ორიგინალური ფორმით ასწავლიან.

„ერთი ლექსის ისტორია“

12 ივნისიდან საზოგადოებრივი რადიოს პირველი არხის ეთერშია ხუთწუთიანი რუბრიკა „ერთი ლექსის ისტორია“. ცნობილი ქართული ლექსების დემონსტრირებასთან ერთად, რუბრიკაში ამ ლექსების შექმნის ისტორიას თავად ავტორები ან საზოგადოების ცნობილი წარმომადგენლები ჰყვებიან.

„ერთი სიმღერის ისტორია“

13 ივნისიდან კვირაში ორჯერ – საზოგადოებრივი რადიოს პირველი არხის ეთერშია ხუთწუთიანი რუბრიკა „ერთი სიმღერის ისტორია“. ქართული და უცხოური სიმღერების დემონსტრირებასთან ერთად მათი შექმნის ისტორიას თავად კომპოზიტორები და საზოგადოების ცნობილი წარმომადგენლები ჰყვებიან.

„ახალი ჩანაწერები“

ეს პროექტი საზოგადოებრივი რადიოს მსმენელს აცნობს საქართველოში მიმდინარე მუსიკალური მოვლენებს და ინტერნეტით მოპოვებული საერთაშორისო ფესტივალების, კონკურსების, კონცერტების ჩანაწერებს.

„მოცარტის წელი“

მოცარტის 250 წლის იუბილესთან დაკავშირებით საზოგადოებრივი რადიოს ეთერშია სხვადასხვა ცნობილი ორკესტრებისა და მუსიკოსების მიერ შესრულებული მოცარტის ერთი ნაწარმოების სრული ვერსიები, აგრეთვე მუსიკალური ფრაგმენტები გადაცემის ავტორთა მიერ მომზადებული მოკლე ანოტაციით.

„ოპერა ღამით“

საზოგადოებრივი რადიოს ამ ახალი რუბრიკის ფარგლებში ქართული ან უცხოური ოპერის სრული ან ფრაგმენტული გადმოცემა ხდება. გადაცემას ახლავს ავტორის მიერ მომზადებული მოკლე ანოტაცია.

„შედევრები“

ყოველ ოთხშაბათს, საზოგადოებრივი რადიოს ეთერშია ქართველი და უცხოელი კომპოზიტორების ერთი მუსიკალური შედევრი საუკეთესო ინტერპრეტაციითა და ავტორის მიერ მომზადებული მოკლე ანოტაციით.

რადიოსპექტაკლები

კვირაში სამჯერ – ორშაბათსა და ოთხშაბათს 00.45 სთ-ზე და შაბათს 18.00 სთ-ზე ეთერშია რადიოთეატრი, რომელშიც ახალ სპექტაკლებთან ერთად საზოგადოებრივი მაუწყებლის ოქროს ფონდში დაცული და აღდგენილი რადიოსპექტაკლების დემონსტრირება ხდება.

15 აპრილიდან ეთერში გავიდა ახალი რადიოსპექტაკლი – მია სარიშვილის „ტიამაიების ოჯახი“. მთავარ როლებში გიზო სიხარულიძე და ლამზირა ჩხეიძე. 15 მაისიდან რადიოს პირდაპირ ეთერშია რადიოსპექტაკლი „კაცია ადამიანი?!“. საზოგადოებრივი მაუწყებლის ოქროს ფონდში დაცული სპექტაკლი განახლებული რადიოსერიალის სახით გავიდა ეთერში. სპექტაკლი აღადგინა ეროსი მანჯგალაძის სახელობის რადიოთეატრმა. მასში მოცემულია სცენები ვასო გოძიაშვილის მონაწილეობით. სპექტაკლში მონაწილეობენ რეზო თავართქილაძე, პაულე ნოზაძე, ზურაბ ცინცქილაძე, ცეცილია წუწუნავა, ზაზა ლებანიძე. 29 მაისს კიდევ ერთი განახლებული დადგმა – „მოძღვარი“ გავიდა ეთერში. როლებს თამაშობენ ვერიკო ანჯაფარიძე, პიერ კობახიძე, კოტე დაუშვილი, შალვა ღამბაშიძე. 3 ივნისიდან რადიოს პირველი არხის ეთერში გავიდა შტეფან ცვაიგის „ამოკი“. მონაწილეობენ: თამარ გეგეჭკორი, რევაზ თავართქილაძე, ნიკა წერეთლიანი, პაატა კიკვაძე, ჯემალ მელქაძე და არჩილ ბურჭულაძე.

მრავალფეროვნება და სამოქალაქო ინტეგრაცია

საანგარიშო პერიოდში ამ მიმართულებით ოთხი ახალი პროექტი განხორციელდა. ქართული ფილმების თარგმანი აფხაზური სუბტიტრებით; ახალი რუბრიკა “ნაციონალური სამზარეულო” დილის გადაცემა “ადრემი”, ასევე ორი რადიო პროექტი – “ჩვენი საქართველო” და “ზღვა, რომელიც შორია”.

ნაციონალური “მოამბე”

საზოგადოებრივი რადიოს ეთერში ყოველდღიურად მზადდება 5 წუთიანი საინფორმაციო გამოშვებები აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე. რადიო-გამოშვებებში სრულად აისახება მიმდინარე დღის მთავარი მოვლენები. ყოველდღიურ რუსულენოვან სატელევიზიო გამოშვებებში სრულად აისახება მიმდინარე დღის მთავარი მოვლენები. მნიშვნელოვან თემებზე კეთდება შესაბამისი კომენტარები.

ამ პერიოდში ნაციონალურმა “მოამბემ” შემდეგი მნიშვნელოვანი თემები გააშუქა:

აფხაზური “მოამბე” აჭარაში მცხოვრები აფხაზების სოციალურ პრობლემებს შეეხო (შტორმის შედაგად 6 ოჯახი ღია ცის ქვეშაა დარჩენილი). ასევე გაშუქდა ლტოლვილი აბიტირინტების ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის მზადება.

მომზადდა სპეციალური სიუჟეტი 1926 წელს აფხაზი რეჟისორის მიერ გადაღებული მხატვრული ფილმის შესახებ, რომელიც 1986 წელს აღადგინეს. წელს ამ ფილმის ქართული თარგმანი გაკეთდა. (ინტერვიუ რეჟისორ გოგი დოლიძესთან) მომზადდა ვრცელი მასალა შერვაშიძეების დინასტიის შესახებ. შერეული ქართულ-აფხაზური ოჯახის ისტორია, გზა სოხუმიდან თბილისამდე. კახეთში აფხაზების მიტოვებული მამული, რომელიც სავალალო მდგომარეობაშია. როგორი გახდა თბილისი ბოლო წლებში. აფხაზეთზე შექმნილი სიმღერების კონკურსში გამარჯვებულები.

ოსური “მოამბე” - ბოლო 15 წლის განმავლობაში პირველად ოსურ სოფლებში “მოამბის” გადამღები ჯგუფი შევიდა. მომზადდა სიუჟეტი იმის შესახებ, თუ რა პრობლემები აქვთ ოსებს ცხინვალის რეგიონში. “მოამბის” ჟურნალისტებმა მოამზადეს სიუჟეტი ოსური სოფლის შესახებ კახეთში. ასევე გაშუქდა პასპორტებთან დაკავშირებული პრობლემები. ოსურმა “მოამბემ” მაყურებელს გააცნო ცხინვალიდან დევნილობაში მყოფ ცეკვის ანსამბლის შემოქმედებითი ცხოვრება, ქართველების მიერ ოსურ მასალებზე (ლიტერატურა) ჩატარებული კვლევა. გაშუქდა ოსური ლექსების კრებულის გამოცემა.

სომხურმა “მოამბის” მიერ გაშუქებულ სიუჟეტს გამოსმაურება ვატიკანში მოჰყვა. სახელდობრ: სიუჟეტი შეეხებოდა 2004 წლის აგვისტოში, ჩაქვის სანაპირო ზოლის გასწვრივ, ვართაზარ ეგიაზარიანის ნაღმზე აფეთქების ინციდენტს, რის შედეგადაც ამ უკანასკნელს ორივე ფეხის ამპუტაცია დასჭირდა. 2006 წლის 8 მარტს გადაიკა სიუჟეტი ეგიაზარიანის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების საჭიროების თაობაზე. საქართველოში სომხური ეკლესიის ეპარქიამ აღნიშნული სიუჟეტი საიტის მეშვეობით გაავრცელა. იტალიის სომხურმა დიასპორამ მასალები ვატიკანს გადაუგზავნა. ვართაზარ ეგიაზარიანს ვატიკანი ოპერაციის ხარჯების ანაზღაურებაში დაეხმარება. ვართაზარ ეგიაზარიანი მადლობას უხდის საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობას დახმარებისათვის.

სომხურმა რედაქციამ სხვა მნიშვნელოვანი თემებიც გააშუქა: ნინოწმინდაში გზების პრობლემა; სამცხე-ჯავახეთი კარტოფილის გასადების პრობლემა; ეროვნული უმცირესობების უფლებები - რა იციან მათ საკუთარ უფლებებზე; არაქართულენოვან აბიტურიენტებს ქართულ ენაში მისაღები გამოცდების ეშინიათ; როგორ ცხოვრობენ იტალიურ ეზოში სხვადასხვა ეროვნებების ადამიანები; მოხუცი სომეხი გრიმიორი, რომელსაც გრიმი ბევრი ცნობილი მსახიობისთვის გაუკეთებია; ფეხბურთის სომეხი ფანები.

აზერბაიჯანული “მოამბე” ამ პერიოდში აშუქებდა: მწვემსების პრობლემებს საძოვრებზე, წყლის პრობლემას მარნეულში. გააშუქდა ქუთაისის ნაციონალურ სკოლადამთავრებულების ბედი – დაასაქმეს თუ არა ეს ადამიანები. არაქართულენოვან აბიტურიენტების ქართულ ენაში მისაღები გამოცდების პრობლემა. ცნობილი საზოგადო მოღვაწის, მწერლის ნარიმან ნარიმანოვის მუხეუმი თბილისში, რომელიც დანგრევის პირასაა მისული.

რუსული “მოამბეში” შემდეგი თემები გააშუქდა: სიუჟეტი ცხინვალიდან – რა პრობლემები აქვთ ოსებს ცხინვალის რეგიონში; აფხაზები რკინიგზის აღდგენის წინააღმდეგ – მასალა სოხუმიდან. ერთიანი ეროვნული გამოცდები. არაქართველი აბიტურიენტები. სამედიცინო შეღავათების თემა. გერმანული დიასპორა თბილისში. ნაგავსაყრელი გლდანში, რომელიც მოსახლეობის ჯანმრთელობას პრობლემებს უქმნის. სომხური ბარი ბათუმში. მიმდინარე თვეს გრძელდებოდა ციკლი, ჟურნალისტი იცვლის პროფესიას. მომზადდა სიუჟეტები: ჟურნალისტი-სტიუარდესა, ჟურნალისტი-იუნგა, ჟურნალისტი - მენაგვე.

„ჩვენი საქართველო“

13 აპრილიდან კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით 16.05 სთ-ზე ეთერშია საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული რადიოგადაცემა „ჩვენი საქართველო“. კობა ჩოფლიანის გადაცემა შემეცნებით-საგანმანათლებლო ხასიათისაა და მიმოიხილავს საქართველოში მცხოვრები ეროვნული და რელიგიური ჯგუფების ისტორიას, ეთნიკური და რელიგიური თვითმყოფადობის საკითხებს კულტუროლოგიურ ჭრილში, მსოფლიო გამოცდილებას ეროვნულ და რელიგიურ უმცირესობათა თანაცხოვრების კუთხით. ამ თემების გააშუქება გადაცემაში ქვეყანაში ღია საზოგადოების ღირებულებათა განმტკიცებას ემსახურება. გადაცემა ეთერში ჩანაწერის სახით გადის. მასში ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან ერთად ექსპერტებიც მონაწილეობენ.

„ზღვა, რომელიც შორია“

3 მაისიდან რადიოს პირველი არხის ეთერშია დოკუმენტური სერიალი, რომელიც აფხაზეთის თემას ეძღვნება. აპოლიტიკურ გადაცემაში აფხაზეთიდან დევნილები იხსენებენ მშვიდობიანი პერიოდის სოხუმს, გაგრას, აფხაზეთის სხვა ადგილებს; საუბრობენ ცხოვრებისეულ მომენტებზე, აფხაზეთთან და ამ ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა ეროვნების მეგობრებთან და ახლობლებთან ურთიერთობებზე.

საბავშვო მიმართულება

ამ პერიოდში საზოგადოებრივი მაუწყებლის ტელე საბავშვო ჯგუფმა მოამზადა “ბაბილინას” 65 გამოშვება, მათ შორის სპეციალურად აღდგომის დღისთვის მიძღვნილი გადაცემა. სააღდგომოდ ბაბილინა სტუმრად იმყოფებოდა ავლაბრის ბავშვთა სახლში, რომელზეც საზოგადოებრივ მაუწყებელს მზრუნველობა აქვს აღებული. 2 ივნისს ამ სახლის აღსაზრდელები უკვე ბაბილინასთან იმყოფებოდნენ სტუმრად გადაცემაში. ბაბილინამ ამ პერიოდში მონაახულა რამდენიმე საბავშვო ბაღი და ბავშვებს საზოგადოებრივი მაუწყებლის საბავშვო გადაცემების პოპულარიზაციის მიზნით გამოშვებული ფლაიერები დაურიგა. საზოგადოებრივი მაუწყებელი განაგრძობს საბავშვო მიმართულების დილის ზოლის მრავალფეროვნებაზე მუშაობას. აპრილში დილის ეთერში გავიდა ახალი საბავშვო პროექტი და მაყურებელს ახალი გმირები - დილის დიჯეი, მწვანე ვიდეო და ხელმარჯვე ფუსფუსა შეეთავაზეთ.

“ბაბილინა”

აპრილში გადაცემა სხვადასხვა რეგიონებიდან მოწვეულ ბავშვებს სტუმრობდა. ბავშვებმა შეისწავლეს ბევრი ახალი საბავშვო ლექსი და სიმღერა. ბავშვების საყვარელი გმირის - ფიფქიას მაგალითზე შრომის მოყვარეობის ძალა განეუმარტეთ. ბაბილინა ბავშვებს ესაუბრა იმის თაობაზე, რომ ადამიანებმა უნდა მისდიონ ჯანმრთელი ცხოვრების წესს, ვარჯიში და სწორად კვება კარგია ჯანმრთელობისთვის. მოვამზადეთ ანბანის დღესთან დაკავშირებით საზეიმო გადაცემა და განვიხილეთ ქცევის წესები. გაზაფხულის თემაზე მომზადდა რამოდენიმე გადაცემაც. ხელმარჯვეობა რომ კარგია, ამაში დასარწმუნებლად რამდენიმე სახალისო თამაში დაგვეხმარა: ვიმოგზაურეთ ზღაპრების სამყაროში, დაიწერა, როგორც ორგინალური, ასევე მოხდა კლასიკად წოდებული ზღაპრების გამოყენება, მაგალითად, კალის ჯარისკაცის ამბის გათამაშება. სააღდგომოდ მომზადდა საზეიმო გადაცემა. მუსიკალური განათლების თემას მიეძღვნა ნოტებზე აგებული თამაში. ბავშვებმა და ბაბილინამ წელიწადის დროები სიმღერებით და ცეკვებით ახსნეს. ასევე ბავშვებს გაგვაგებინეთ, რა ძალა აქვს დახმარებას.

მაისში გადაცემა “ბაბილინას” მეშვეობით, ბავშვებს თამაშით ვასწავლეთ შუქნიშნის ფერები და ქუჩაში მოძრაობის წესები. გადაცემა „ფერმით“ ბავშვებმა ადვილად გაიგეს, თუ რომელი ცხოველები ცხოვრობენ ფერმაში, გარეული თუ შინაური. ვარსკვლავებზე ზღაპრის მეშვეობით მათ გაიგეს, თუ რატომ ანათებენ ვარსკვლავები ღამით. მომზადდა გადაცემები გაზაფხულის თემაზე: „ჭიამია“- ბავშვებს დაეხმარა გაეგოთ, თუ როგორი სასარგებლო მწერია ჭიამია, რომ ის ანადგურებს მავნე მწერებს, რომლებიც მცენარეებს აზიანებენ. „ფუტკარი“ – ბავშვებმა გაიცნეს შრომისმოყვარე ფუტკარი და გაიგეს, თუ როგორ ამზადებს იგი თაფლს. „ტყე“ – ბავშვებს დაეხმარა იმის გაგებაში, თუ როგორ მოდის გაზაფხული ტყეში და რომ უნდა გაუფრთხილდნენ ბუნებას. „მშენებლები“ - ბავშვებს თამაშით ვასწავლეთ, თუ რა კარგია, როცა გამრჯე და მშრომელი ხარ. „ექიმობანა“ - ზღაპრის გმირების დახმარებით ბავშვები მიხვდნენ, რომ ნემსი სულაც არ არის საშიში და რომ ადამიანებს და ცხოველებს თავისი ექიმი ჰყავთ. მომზადდა გადაცემა, სადაც ბავშვებს ვასწავლეთ, რომ ყველაფერი ბუნებაში თავისებურ ხმას გამოსცემს. „თეატრობანა“ და „ბალეტი“ ბავშვებმა გაიგეს, თუ რა არის თეატრი, სპექტაკლი, სცენა, აპლოდისმენტი, თუ ვინ არის

მსახიობი? „ფერები“ - ბავშვებმა გაარჩიეს ძირითადი ფერები და საღებავების შერევით მიიღეს სხვა ახალი ფერები. „არლეკინი“ - ღიმილი და სიცილი ცხოვრებას გვიღამაზებს. „სამი გოჭი“ - ზღაპრის დახმარებით, შევიტყვეთ, თუ რა ცუდი შედეგები მოაქვს სიზარმაცეს. „ვიტამინები“ - ბავშვებმა ბევრი ხილი და ბოსტნეული უნდა მიირთვან, ეს მათი ჯანმრთელობისთვის აუცილებელია. „ალე-ჰოპ“ - ვისაუბრეთ ცირკის ცხოველებზე. „საქართველო“ - როცა კარგად იცი მშობლიური ენა, კარგად იცნობ საქართველოს სხვადასხვა კუთხის ტრადიციას, გიყვარს შენი სამშობლო, შენ ნამდვილი ქართველი ხარ. „ტყუილი და მართალი“ - ტყუილს მოკლე ფეხები აქვს და მატყუარა ადამიანის არავის სჯერა.

ივნისის პირველივე დღე ზეიმით დავიწყოთ. ბავშვთა საერთაშორისო დღეს ბაბილინას სტუმრად ბავშვებისათვის საყვარელი ყველა გმირი ჰყავდა მოწვეული. მთავარი აქცენტი ქველმოქმედებაზე გაკეთდა. მომზადდა ერთობლივი გადაცემა "მომავლის სახლის" ბავშვების მონაწილეობით. ასევე შემეცნებითი ხასიათის გადაცემები კვირის დღეებზე, მარტივ ანგარიშზე, ხასიათის ცუდ და კარგ თვისებებზე - როგორია მშიშარა, შრომისმოყვარე, მტირალა და ა.შ. რა ხდება ზღვის სამყაროში, რა სარგებლობა მოაქვს ვიტამინებს, რა ამბები ხდება ტყეში – ამ და სხვა ბავშვებისთვის საინტერესო თემებზე მომზადდა გადაცემები. ასევე გაკეთდა პატარა ზღაპრები ძველი ქართული მულტფილმების გამოყენებით და მსოფლიო ჩემპიონატთან დაკავშირებით მომზადდა სპეციალური გადაცემები ფეხბურთზე.

ახალი საბავშვო გმირები

დილის დიჯეი

დილის დიჯეი აპრილში გავიდა ეთერში და უკვე ბავშვების დიდი სიყვარული დაიმსახურა. დაწყებითი სკოლის ასაკის ბავშვები რეკავენ და დიჯეი გოგას უკვეთავენ მათთვის საყვარელ მუსიკას თუ კლიპს. დიჯეი გოგა არჩევს ისეთ თემებს, რომლებიც ბავშვებისთვის საინტერესოა. მათთვის მუსიკალური ნომრის მიხედვით ხდება ისეთი თემების გაშლა, როგორცაა მეგობრობა, ოპტიმიზმი, ცოდნის მიღების სურვილი, ჯანმრთელი ცხოვრების წესი. ეს ყველაფერი სხვადასხვა სასიმღერო თემებშია გადაწყვეტილი.

დილის დიჯეი და მისი “მუზონები” გამოკითხვებს ატარებენ სხვადასხვა სკოლებში, მუზონები ინტერვიუებს იღებენ თანატოლებისაგან და თავიანთ გადაცემებში ითვალისწინებენ ყველა მათ სურვილს.

სპეციალურად ამ გადაცემებისთვის შეიქმნა 8 ახალი ფონოგრამა და გამოყენებულია 16 კლიპი, რომლებიც მოვიძიეთ ავტორებისგან, დაიდგა 8 ორიგინალური ქორეოგრაფიული სურათი ბავშვების მონაწილეობით.

მწვანე ვიდეო

ვიდეო კაკტუსიც ახალი საბავშვო გმირია, რომელმაც ბავშვების მოწონება დაიმსახურა. მწვანე ვიდეო ბავშვებს სთავაზობს მოგზაურობას ბუნებაში, საუბრობს ეკოლოგიაზე. კაკტუსი ბავშვებს შემდეგ თემებზე ესაუბრა: დედამიწა - როგორ შეიქმნა სამყარო, დათვები - როგორ და სად ცხოვრობენ ისინი, ტყე და მისი ბინადრები, უცნაური ცხოველები - მაჩვენებელი, მაიმუნები და მათი თვისებები, ყვავილები და მათი მოვლა, მთვარე და ვარსკვლავები, შინაური ცხოველები. როგორ უნდა მოვუაროთ ბუნებას, გაუფრთხილდეთ ხეებს, არ დავანაგვიანოთ გარემო, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ და, რომ მნიშვნელოვანია მზე

და ჰაერი. ასევე ვიდეო კაქტუსი ბავშვებს უამბობს ცხოველებზე: სპილოებზე, მარტორქებზე, ღამურებზე, სამოთხის ჩიტებზე, ავაზებზე, თევზებზე, ვიდეო კაქტუსი ბავშვებს უამბობს ზღვის სამყაროზე, ოკეანის შვილებზე, სხვადასხვა ჯიშის ძაღლებზე, თუთიყუშებზე, თუ როგორ აზროვნებენ ცხოველები, შეუძლიათ თუ არა ცხოველებს ფერების გარჩევა, რას ნიშნავს ხერხემლიანები... თუ რა მრავალფეროვანია ჩვენი ბუნება.

ფუსფუსა

ფუსფუსა ახალი საბავშვო გმირია, რომელიც ყოველ ოთხშაბათს 8 საათსა და 10 წუთზე ესაუბრება ბავშვებს ეკრანიდან. ფუსფუსა ეთერში 31 მაისიდან გამოჩნდა. ის ბავშვებს ხელსაქმეს ასწავლის და მუდმივად არიგებს, რომ თუ ისწავლიან ხელსაქმეს, იფუსფუსებენ სამზარეულოში უფროსებთან ერთად, შეძლებენ დააღაგონ საკუთარი სახლი, ბაღი, პარკი, ქუჩა - სადაც ჩვენ ცხოვრობთ. ფუსფუსას მეშვეობით ბავშვები იგებენ, რომ მათი ხელით გაკეთებული ყოველი საქმე ძალიან მნიშვნელოვანია და შრომისმოყვარეობა მათ სახელოვან ადამიანებად აქცევს. დავეხმაროთ ყველას, ვისაც ჩვენი დახმარება სჭირდება და გავაკეთოდ ყველაფერი ჩვენი ხელებით, ამას ასწავლიან ფუსფუსები ბავშვებს. პირველ გადაცემაში ბავშვებმა თავისი ხელით დაამზადეს მოსაწვევი ბარათები. შემდეგ გადაცემებში ბავშვები ბოტანიკურ ბაღში ყვავილებს დაეხმარნენ, შემდეგ საუზმე მოამზადეს თავისი ხელით, მოხატეს ქოთნები, დაამზადეს ფეხბურთის გულშემატკივრების აქსესუარები და სხვა.

1 ივნისი – ბავშვთა დაცვის დღე

1 ივნისი – ბავშვთა დაცვის დღე საზოგადოებრივმა მაუწყებელმა განსაკუთრებულად აღნიშნა. სპეციალურადა ამ დღისთვის მომზადდა 10 - 2 წუთიანი სოციალური კლიპი. ამ დღეს ეთერში ძირითადად საბავშვო პროგრამები გავიდა. საზოგადოებრივი მაუწყებელი აქტიურად იყო ჩართული 1 ივნისს მზიურში გამართულ საქველმოქმედო აქციაში, სადაც ბაბილინაც იღებდა მონაწილეობას.

ანიმაცია

ყოველდღე, საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში, გადის მრავალფეროვანი ანიმაციური ფილმების პროგრამა, რომელიც გათვალისწინებულია სხვადასხვა ასაკის ბავშვებისთვის. მაისის თვიდან დავიწყეთ ახალი ქართული ანიმაციის ჩვენება „მოგზაურობა ისტორიაში“, რომელიც 11 სერიას მოიცავს. ეს არის 13 წუთიანი შემეცნებითი ხასიათის ფილმები, სადაც ბავშვისთვის მარტივად და სახალისოდ არის მოთხრობილი სხვადასხვა ამბები საქართველოს ისტორიიდან.

1. „არგონავტები“;
2. „ფარნავაზის მეფობა“;
3. „რომაელები საქართველოში“;
4. „ფარსმან ქველი“;
5. „ქრისტიანობა საქართველოში“;
6. „ვახტანგ გორგასალი“;
7. „ვახტანგ გორგასალი 2“;
8. „არაბები საქართველოში“;
9. „დავით აღმაშენებელი“;
10. „დიდგორის ბრძოლა“;
11. „საქართველოს ძლიერება – მეფე თამარი“;

სპორტული მიმართულება

საზოგადოებრივი მაუწყებლის სპორტული გადაცემები მრავალმხრივად აშუქებენ სპორტის ამა თუ იმ სახეობაში მიმდინარე მოვლენებს. ამ პერიოდში მაყურებელს არაერთი პირდაპირი ტრანსლაცია შევთავაზეთ საინტერესო სპორტული ღონისძიებებიდან. დიდი ყურადღება ეთმობა აგრეთვე სპორტის წარსული წარმატებების გახსენებას და ახალგაზრდა თაობის ქართული სპორტის მიღწევებით ინფორმირებას.

მთავარი სპორტული მოვლენა იყო მსოფლიო ჩემპიონატში ფეხბურთში, რომელიც 9 ივნისიდან 9 ივლისამდე მიმდინარეობდა. საქართველოში მსოფლიო ჩემპიონატის ჩვენების ლიცენზიის მფლობელი საზოგადოებრივი მაუწყებელია და მისი სუბლიცენზიანტია სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2. ჩვენი ეთერით გავიდა ჩემპიონატის 33 რეპორტაჟი სტუდიური განხილვებით. ჩემპიონატის გახნა 9 ივნისს ექსკლუზიურად საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უჩვენა.

ამ პერიოდში მაყურებელს ორი სპორტული ვიქტორინა შევთავაზეთ.

მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ყოველ ორშაბათს ტრადიციულად გადიოდა ეთერში სპორტული თოქ-შოუ არენა. აპრილი-ივნისის პერიოდში ყოველ ხუთშაბათს ეთერში იყო ლაშა დვალიშვილის საავტორო გადაცემა “ავტოგრაფი”, რომელიც სპორტის ცნობილ მოღვაწეებს ეძღვნება. ყოველ კვირას ეთერშია გადაცემა “მსოფლიო რაგბი”. მაყურებელს კვლავ ვთავაზობთ “ფორმულა 1-ის” გათამაშებებს და მრავალ რეპორტაჟს სხვადასხვა საინტერესო სპორტული ღონისძიებიდან.

“არენა”

სპორტული გადაცემა “არენა”, რომლის ავტორი და წამყვანია ლაშა დვალიშვილი, ყოველ ორშაბათს, 17 აპრილიდან გადის ეთერში. გადაცემის მიზანია მიმოიხილოს სპორტული მოვლენები საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. გადაცემა ინტერაქტიურია. გადაცემის მსვლელობისას მრავალრიცხოვანი ზარები მის პოპულარობაზე მეტყველებს. გადაცემა მუდმივად მიმოიხილავს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე ყველაზე მთავარ და ოპერატიულ თემებს. სტუდიაში მოწვეული არიან სტუმრები, მათ შორის ცნობილი სპორტსმენები, გადაცემაში არის სიუჟეტი, აგრეთვე ხშირია უცხოეთიდან პირდაპირი ჩართვები, ვიყენებთ საარქივო მასალებს.

ამ პერიოდში სხვა თემებთან ერთად გადაცემაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მოსკოვში გამართულ ევროპის ჩემპიონატს გერმანულ-რომაულ და თავისუფალ ჭიუდაობაში, სადაც ჩვენმა ფალანგებმა წარმატებით იასპარეხეს. მათ აქტივში ერთი ოქროს, ორი ბრინჯაოს მედალი და გუნდური მესამე ადგილია. სტუდიაში მოწვეულმა სპორტსმენებმა ისაუბრეს ამ ჩემპიონატის შესახებ. “არენამ” გააშუქა ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპის მიმდინარეობა. სტუდიაში მოწვეულნი იყვნენ ბოლნისის “სიონის” მწვრთნელი კახა ცხადაძე და გუნდის წევრები, რომლებმაც მიმოიხილეს ჩემპიონატი. ყურადღება გამახვილდა საქართველოს თასის ფინალურ მატჩზე ფეხბურთში, რომელიც 9 მაისს გაიმართა. თოქ-შოუში გაშუქდა ხელბურთში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი, რომელსაც თბილისმა უმასპინძლა, აგრეთვე კალათბურთში საქართველოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპი. სტუდიაში მოწვეულმა კალათბურთის პროფესიული ლიგის თავკაცებმა მიმოიხილეს 2005-2006 წლების საქართველოს ჩემპიონატი და ისაუბრეს

ევროტურნირებზე, ასევე იმ სიახლეებზე, რომლებიც მომავალი ჩემპიონატიდან იგეგმება. 29 მაისს – სტუდიაში მოწვეულნი იყვნენ ფინეთიდან დაბრუნებული ქართველი ძიუდოისტები, რომლებმაც ასევე წარმატებით იასპარეხეს იქ გამართულ ევროპის ჩემპიონატზე.

13 მაისს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მაყურებელს შესთავაზა ქართული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე დიდი წარმატების - თასების მფლობელთა თასის მომგანი მატჩის ჩანაწერი. 25 წლის შემდეგ კიდევ ერთხელ ისიამოვნა ქართველმა გულშემატკივარმა “დინამო თბილისის “ და “იენის კარლცაისის “ ფინალური შეხვედრის ხილვით.

იენისში “არენა“ ტრადიციული ფორმატით მხოლოდ ერთხელ გავიდა ეთერში და ისიც მთლიანად ფეხბურთში მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის სტარტს მიეძღვნა. გადაცემაში მონაწილეობა მიიღეს სახელოვანმა ქართველმა ფეხბურთელებმა, სპორტის მესვეურებმა და გულშემატკივრებმა.

მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში გერმანია 2006

9 იენისიდან 9 ივლისის ჩათვლით მიმდინარეობდა მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. საზოგადოებრივი მაუწყებლის მაყურებელმა იხილა 33 რეპორტაჟი გერმანიიდან, რასაც ახლდა სტუდიური განხილვები გადაცემა “არენაში” ლაშა დვალისშვილთან და მოწვეულ სტუმრებთან ერთად. ჩემპიონატის დაწყებამდე მაყურებელს შევთავაზეთ დოკუმენტური ფილმები ჩემპიონატის მონაწილე მსოფლიოს წამყვან საფეხბურთო ნაკრებებზე.

ფეხბურთის გულშემატკივარს და საზოგადოებრივი მაუწყებლის მაყურებელს საშუალება მიეცა, თვალი ედევნებინა გერმანიის, პოლონეთის, არგენტინის, ჰოლანდიის, იტალიის, საფრანგეთის, შვეიცარიის, სერბეთისა და სხვა გუნდების უაღრესად საინტერესო მატჩებისათვის. ყოველდღიურად თითო, უფრო ხშირად კი ორ-ორი მატჩი გადაიცემოდა. რეპორტაჟებს უამრავი მაყურებელი ჰყავდა, რასაც სატელეფონო ზარები მოწმობს. რეპორტაჟებს უძღვებოდა სპორტული კომენტატორი დავით მინაშვილი, რომელიც ფინალურ მატჩს გერმანიიდან უკეთებდა კომენტარს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირდაპირ ეთერში.

საფეხბურთო რეპორტაჟების პარალელურად საგანგებო რეჟიმში მუშაობდა გადაცემა “არენა”, რომელიც ყოველდღიურად ორჯერ-სამჯერ გადიოდა ეთერში სხვადასხვა ქრონომეტრაჟით. გადაცემა ოპერატიულად, თამაშის დამთავრებისთანავე იყო ეთერში და მიმოიხილავდა დამთავრებულ შეხვედრებს, იყო ჩართვები თბილისში არსებული ფანკლუბებიდან. გადაცემაში მოწვეული იყვნენ ცნობილი ფეხბურთელები: გიორგი ნემსაძე, კახი ცხადაძე, მიხეილ ყაველაშვილი, გიორგი გახოკიძე, დავით ხიზანიშვილი, შოთა არგელაძე, ლევან ყიფიანი. ასევე ფეხბურთის სპეციალისტები და ცნობილი სახეები – დავით გიორგაძე, ვაჟა ჟვანია, ირაკლი ჯაფარიძე, გია ბაღაშვილი და სხვები. პროგრამის მსვლელობის პერიოდში განუწყვეტლად გვირეკავდნენ გულშემატკივრები, რომლებიც სტუდიაში სატელეფონო ჩართვისას გამოხატავდნენ თავიანთ პოზიციას. გადაცემაში პროფესიულად განიხილებოდა ყველა თამაში – აზრთა სხვადასხვაობა და კამათი გაცილებით საინტერესოს ხდიდა მას. გადაცემა დატვირთული იყო თამაშის ყველაზე საინტერესო ფრაგმენტებით. გადაცემაში განხორციელდა ჩართვები როგორც უცხოეთიდან, ასევე საქართველოს რეგიონებიდან – ბათუმიდან, ქუთაისიდან, გორიდან, ზუგდიდიდან. ადგილობრივ გულშემატკივრებს საშუალება ჰქონდათ, პირდაპირ

ეთერში გამოეთქვათ საკუთარი შეხედულებები მატჩების შესახებ. გარდა ამისა მოეწყო ორი დიდი თოქ-შოუ, რომელშიც მოწვეულნი იყვნენ ფეხბურთელები, მსაჯები, სპეციალისტები, ჟურნალისტები, მსახიობები, შოუ-ბიზნესის წარმომადგენლები.

ჩემპიონატის ფინალი კინოთეატრ “ამირანში”

9 ივლისს კინოთეატრ “ამირანში” გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატის შემაჯამებელი თოქ-შოუ. გადაცემა მსოფლიო ჩემპიონატის დასკვნითი მატჩის წინ დაიწყო და მას უძღვებოდნენ ნეკა სებისკვერაძე და ლაშა დვალისვილი. წამყვანებმა მიმოიხილეს ჩემპიონატის წინა ეტაპი, ასევე გაესაუბრნენ ამირანში მოწვეულ სტუმრებს, ცნობილ ქართველ გულშემატკივრებს – პოლიტიკოსებს, სპორტსმენებს, შოუ ბიზნესის წარმომადგენლებს. ამასთან გამოვლინდა ინტელექტუალური ვიქტორინის საბოლოო გამარჯვებული, რომელსაც გადაეცა დუბაის ორკაციანი საგზური ოთხ ვარსკვლავიან სასტუმროში. ამავე დღეს “არენაში” გათამაშდა სპონსორის შეკითხვა და გამარჯვებული მუსიკალური ცენტრით დაჯილდოვდა. პირდაპირ ეთერში გერმანიიდან ჩაერთო დავით მინაშვილი, რომელიც ფინალურ თამაშს ქალაქ ბერლინიდან უძღვებოდა. “ამირანში” ამავე დღეს მიმდინარეობდა გოგა ჩანადირის ფოტოგამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო ქართველ გულშემატკივართა ფოტოები. ამ გამოფენას ორგანიზება საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გაუწია.

საქველმოქმედო მატჩი მინი-ფეხბურთში

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ დღეს 9 ივლისს “ირაოს“ სტადიონზე გაიმართა ამხანაგური მატჩი მინი-ფეხბურთში, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ ბავშვთა სახლების აღსაზრდელები და ცნობილი ადამიანები. მოთამაშეებს გადაეცათ სამახსოვრო ფორმები და გადაცემა “არენის“ მაისურები, აგრეთვე სპონსორების მიერ დაწესებული პრიზები.

საბავშვო ვიქტორინა

სპორტულ თოქ-შოუში “არენა” 15 მაისიდან, ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე სამი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა საბავშვო ვიქტორინა. ვიქტორინაში ცხრიდან თოთხმეტ წლამდე ასაკის ბავშვები იღებდნენ მონაწილეობას. გამარჯვებულები დასაჩუქრდნენ ფეხბურთის ბურთებით, სპეციალურად დამზადებული ჩანთებით და მაისურებით საზოგადოებრივი მაუწყებლისა და გადაცემა „არენას“ გამოსახულებით. სამი კვირის განმავლობაში გამოვლენილი 30 გამარჯვებულიდან სპეციალურმა ჟიურიმ სამი საუკეთესო კომენტატორი შეარჩია. მათ მსოფლიო ჩემპიონატის შემაჯამებელ გადაცემაში მიიღეს მონაწილეობა. გამარჯვებულებს საჩუქრად გადაეცათ DVD პლეიერები და “საუკუნის პორტრეტები” DVD დისკებზე. პირველ ადგილზე გასული პატარა კომენტატორი სხვა საჩუქრებთან ერთად დაჯილდოვდა მთავარი პრიზით – ორკაციანი საგზურით ურეკში, სასტუმრო “კოლხიდაში”.

ინტელექტუალური ვიქტორინა

დიდი მოწონება დაიმსახურა სატელევიზიო ვიქტორინამ, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობისას, გადაცემა “არენას“ პირდაპირ ეთერში თამაშდებოდა. ვიქტორინის მონაწილეები მოკლე ტექსტური შეტყობინებების საშუალებით აფიქსირებდნენ პასუხებს. თითოეული ვიქტორინის გამარჯვებული

ხდებოდა ის, ვინც ყველაზე სწრაფად გასცემდა სწორ პასუხს დასმულ შეკითხვაზე. სწორი პასუხის ავტორები პარალელურად აგროვებდნენ ქულებს მთავარი პრიზის მოსაპოვებლად. თითოეული გათამაშების გამარჯვებული დასაჩუქრდა სპორტული ენციკლოპედიით და საზოგადოებრივი მაუწყებლის პორტუქციით - “საუკუნის პორტრეტები” DVD დისკებზე, ჩანთითა და “არენის” მაისურებით. წორი პასუხების რაოდენობის მიხედვით გამარჯვებული მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ გამოვლინდა. გამარჯვებულმა საჩუქრად მიიღო ორკაციანი საგზური დუბაიში ოთხ ვარსკვლავიან სასტუმროში. ფინალურ თამაშში დაისვა სკონსორის დამატებითი შეკითხვა და სწორი პასუხის ავტორი მუსიკალური ცენტრით დაჯილდოვდა.

რადიოვიქტორინა

ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატთან დაკავშირებით საზოგადოებრივი რადიოს პირველი არხის ეთერში ყოველ შაბათს სპორტულ თოქ-შოუს „უსათაუროდ“ დაემატა ვიქტორინა. სპორტულ ვიქტორინაში გამარჯვებულები დასაჩუქრდნენ საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ დაწესებული პრიზებით: საზოგადოებრივი მაუწყებლის პორტუქციით - „ვაჟა-ფშაველას ზღაპრები“ და “ქართული ხალხური ზღაპრები“ კომპაქტ დისკებზე, “საუკუნის პორტრეტები” DVD დისკებზე, აგრეთვე საზოგადოებრივი მაუწყებლის ემბლემიანი ჩანთითა და მაისურით.

“ავტოგრაფი”

ყოველ ხუთშაბათს 22:00 სთ-ზე ეთერშია საავტორო პროგრამა “ავტოგრაფი“. ამ გადაცემის შინაარსი მაყურებლისთვის უკვე კარგადაა ცნობილი და მას კვლავაც მაღალი რეიტინგი აქვს, რასაც მაყურებელთა უამრავი სატელეფონო და წერილობითი მადლობებიც ნათელყოფს. გადაცემა წარმოაჩენს ქართული სპორტის კორიფეებს, მოგვითხრობს მათი ცხოვრებისა და სპორტული მოღვაწეობის შესახებ. ამ პერიოდში “ავტოგრაფი” მიეძღვნა საბერძნეთში მყოფ ჯარჯი ზვიადაურს, ლეგენდარულ ფეხბურთელ – დავით ყიფიანს, ოლიმპიურ ჩემპიონ – ზურაბ ზვიადაურს. გავიდა სპეციალური გამოშვება და 1981 წლის თბილისის დინამოს გამარჯვების შესახებ, როდესაც დინამომ თასების მფლობელთა თასი მოიპოვა.

გადაცემა დაეთმო ფიგურული სრიალის ახალ ვარსკვლავს, 15 წლის ელენე გედევანიშვილს – რომელმაც ჯერ გასულ წელს ევროპის ჩემპიონატზე წარმატებით იასპარეზა, ხოლო წელს ოლიმპიურ თამაშებზე მსოფლიოს ათ საუკეთესოთა შორის დაიკავა ადგილი. გადაცემაში ნაჩვენები იყო ელენეს ოჯახური მდგომარეობა, სპორტული საქმიანობა, ასევე მაყურებელმა იხილა 4 წლის ელენე – როდესაც პირველად დადგა ციგურებზე. “ავტოგრაფში” წარმოდგენილი იყო სახელოვანი ქართველი ფეხბურთელს კახი ცხადაძე ბიოგრაფიული შტრიხები, სპორტული მოღვაწეობა, ფეხბურთელობიდან საქართველოს ნაკრების კაპიტნობამდე და შემდგომ წარმატებულ საფეხბურთო მწვრთნელამდე განვლილი გზა. 15 ივნისს “ავტოგრაფმა” გაგვაცნო ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონების გიორგი ასანიძისა და კახი კახიაშვილის მწვრთნელი ვანო გრიჭუროვი – ადამიანი, რომელმაც უმძიმეს პირობებში შესაძლო გახადა შეენარჩუნებინა ძალოსანთა სკოლა და აღეზარდა სახელოვანი სპორტსმენები. “ავტოგრაფის” მაყურებელი აგრეთვე გაეცნო ოლიმპიურ ჩემპიონს ძიუდოში შოთა ხაბარელს, რომელმაც სახელოვანი სპორტსმენობიდან წარმატებულ მწვრთნელობას მიაღწია. ყველა გადაცემაში გამოყენებულია უნიკალური კადრები არქივიდან, საოჯახო მასალები და ვიდეომასალა.

“მსოფლიო რაგბი”

ყოველ კვირას, 12:15 სთ-ზე კი მაყურებელს გადაცემა “მსოფლიო რაგბის” ნახვის საშუალება აქვს. ამ პროგრამამ უკვე კარგა ხანია რაგბის მოყვარულთა დიდი მოწონება დაიმსახურა. გადაცემა მოგვითხრობს მსოფლიოს წამყვანი სარაგბო ქვეყნების გუნდებზე, საუკეთესო მატჩებზე, საარქივო მასალები და ცნობილი სპორტსმენების ინტერვიუები უფრო მიმზიდველს ხდის ამ პროგრამას. აღსანიშნავია, რომ ეს პროგრამა ინგლისში მზადდება და იგი მსოფლიოს ყველა წამყვან გუნდებს გვაცნობს.

რეპორტაჟები

ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მატჩების 33 რეპორტაჟის გარდა, ამ პერიოდში მაყურებელს კიდევ ბევრი საინტერესო რეპორტაჟი შევთავაზეთ სხვადასხვა სპორტული ღონისძიებიდან, კერძოდ: აპრილში ჩოგბურთის მოყვარულებს საშუალება ჰქონდათ, თვალი ედევნებინათ დევისის თასის გათამაშებისათვის საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში, რომელიც 7-9 აპრილს სპორტის სასახლეში გაიმართა. 14-15 აპრილს ასევე სპორტის სასახლიდან პირდაპირი ეთერში გადაიკა 20 წლამდე ვაჟთა ხელბურთის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები. 27-28 აპრილს პირდაპირი ეთერით გადაიკა ევროპის ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, ხოლო 29-30 აპრილს ევროპის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში.

საზოგადოებრივი მაუწყებელი მაყურებელს ასევე სთავაზობდა საქართველოს ფეხბურთის ჩემპიონატის ცენტრალურ მატჩებს. 12 აპრილს გაიმართა საქართველოს ჩემპიონატის ტურის ცენტრალური შეხვედრა, ქუთაისის “ტორპედო” – “ზესტაფონი”. 19 აპრილს გადაიკა “ლოკომოტივი” – თბილისის “დინამოს” შეხვედრა.

16 აპრილს ვერის ბალის სასახლიდან შედგა პირდაპირი რეპორტაჟი კალათბურთის საჩვენებელ მატჩში - “ყველა ქართველი ვარსკვლავი”. ასევე დიდი ინტერესი ახლდა კალათბურთში საქართველოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის სამ გადამწყვეტ პირდაპირ რეპორტაჟს, რომელმაც საშუალება მისცა გულშემატკივარს პირდაპირ ეთერში ეხილა საქართველოს ახალი ჩემპიონატის დაბადება.

ფორმულა 1

საზოგადოებრივმა არხმა აპრილის თვიდან აღადგინა ფორმულა 1-ის პირდაპირი ტრანსლაციები, რომელსაც საქართველოში საკმაოდ დიდი აუდიტორია ჰყავს. “ფორმულა – 1“-ის პირდაპირი რეპორტაჟები - ევროპის, ესპანეთის და მონაკოს რბოლებიდან 22-23 აპრილი – სან-მარინოს საკვალიფიკაციო და დიდი პრიზი, 6-7 მაისს - ევროპის საკვალიფიკაციო და დიდი პრიზის გათამაშება, 13-14 მაისი – ესპანეთის საკვალიფიკაციო და დიდი პრიზის გათამაშება, და ყვალაზე პრესტიჟული 27-28 მაისი – რეპორტაჟები მონტე კარლოდან მონაკოს საკვალიფიკაციო და დიდი პრიზის გათამაშება.

კინოპროგრამების მიმართულება

მხატვრული ფილმები

კინომიმართულება აგრძელებს კომპანია Warner Brothers –ის მხატვრული ფილმების ჩვენებას. ყოველდღე, ღამის ეთერში, მაყურებელს ვთავაზობთ უანრობრივად მრავალფეროვან ფილმებს. ჟანრები დაყოფილი გვაქვს კვირის დღეების მიხედვით: ორშაბათობით გადის თრილერი, სამშაბათს – დრამა, ოთხშაბათს – სათავგადასავლო ფილმი, ხუთშაბათს – ბოვეიკი, პარასკევს – კლასიკა, შაბათს – ჰიტები, კვირას – კომედია. შაბათ-კვირას დღის ეთერში ვაჩვენებთ სათავგადასავლო და კომედიური ჟანრის ფილმებს.

ქართული ფილმები

კვირაში ორი დღე, შაბათს და კვირას 19:20 სთ-ზე ვაგრძელებთ ქართული მხატვრული ფილმების ჩვენებას. აპრილის თვიდან, ყოველ კვირა დღეს, ეთერში გადის საზოგადოებრივი მაუწყებლის კიდევ ერთი ახალი პროექტი – საქართველოში მცხოვრები აფხაზი მოსახლეობისთვის ქართული მხატვრული ფილმები აფხაზური სუბტიტრებით.

- 9 აპრილს ეთერში გავიდა „იანანა“ (რეჟ. ნანა ჯანელიძე)
- 16 აპრილს - „ნამდვილი თბილისელები“ (რეჟ. ნანა მჭედლიძე)
- 23 აპრილს - „ქეთო და კოტე“ (რეჟ. ვახტანგ ტაბლიაშვილი)
- 30 აპრილს - „პირველი მეცხალი“ (რეჟ. ნანა მჭედლიძე)
- 7 მაისს – „კაცია-ადამიანი!“ (რეჟ. ქეთი დოლიძე)
- 14 მაისს - „თოჯინები იცინიან“ (რეჟ. ნოკოლოზ სანიშვილი)
- 21 მაისს - „ვერის უბნის მელოდიები“ (რეჟ. გიორგი შენგელაია)
- 28 მაისს - „რეკორდი“ (რეჟ. გურამ პატარაია)
- 4 ივნისს - „შერეკილები“ (რეჟ. ელდარ შენგელაია)
- 18 ივნისს - „არაჩვეულებრივი გამოფენა“ (რეჟ. ე. შენგელაია)
- 25 ივნისს - „ცისფერი მთები, ანუ დაუჯერებელი ამბავი“ (რეჟ. ელდარ შენგელაია)

გარდა ამისა, 9 მაისს ეთერში გავიდა ქართული მხატვრული ფილმი „ჯვარცმული კუნძული“.

დოკუმენტური ფილმები

ორშაბათიდან პარასკევს ჩათვლით გრძელდება BBC – ის დოკუმენტური ფილმების ციკლი. ფილმები შერჩეულია სხვადასხვა თემატიკის მიხედვით და ეთერში გადის 17:00 სთ-ზე. ასევე, კვირაობით, მაყურებელს ვთავაზობთ საფრანგეთის არხების ARTE და CFI-ის პროდუქციას. ეს არის სხვადასხვა ჟანრის და თემატიკის დოკუმენტური ფილმები, სადაც საინტერესოდ არის განხილული ისტორია, ხელოვნება, მეცნიერება. ასევე, ვთავაზობთ პორტრეტებს გამოჩენილი ადამიანების შესახებ.

22-23 აპრილს, ეთერში გავიდა რამდენიმე დოკუმენტური ფილმი, რომელიც თემატურად შეესაბამება ალღომის დღესასწაულს.

- 22 აპრილს - „ათონის ქართველთა სავანე“ (რეჟ. ირაკლი ონოფრიშვილი)
„დედა ღვთისმშობელი“ (რეჟ. მერაბ გაგუა)
„ჩვენი ტაძრები“ (ავტ. ამირან ჭიჭინაძე)
- 23 აპრილს - „პილიგრიმობა ევროპიდან იერუსალიმში“ (რეჟ. სანდრო ვახტანგოვი)

სერიალები

საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გადის სამი სხვადასხვა ჟანრის სერიალი. ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 19:00 სთ-ზე დრამატული ჟანრის იტალიური სერიალი „ცხოვრება თავიდან იწყება“, ხოლო 21:00 სთ-ზე – მძაფრსიუჟეტური სერიალი „ნიკიტა“. შაბათ-კვირას, 17:00 სთ-ზე, გადის ახალგაზრდული კომედია „მეგობრები“.

კანის საერთაშორისო ფესტივალი

28 მაისს გაიმართა კანის 59-ე საერთაშორისო კინოფესტივალის დახურვის ცერემონიალი, რომელიც საზოგადოებრივი მაუწყებლის პირდაპირი ეთერით 21.00 საათზე გადაიცა. ვაჩვენეთ ტრადიციად ქცეული კინოვარსკვლავების გავლა წითელ ხალიჩაზე, მსახიობებთან და რეჟისორებთან ინტერვიუები, გამარჯვებულთა დაჯილდოება, მათი კომენტარები. სადამოს წამყვანებისა და გამომსვლელების სინქრონული თარგმანი მიჰყავდა თინათინ დავითაშვილს, ხოლო ფესტივალზე გამარჯვებულ ფილმებს კომენტარს უკეთებდა კინომცოდნე მარინა კერესელიძე. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ფესტივალის წინა დღეს აჩვენა დოკუმენტური ფილმი კანის საერთაშორისო კინოფესტივალის შესახებ. ფილმი მოგვითხრობდა ფესტივალის დაარსების და განვითარების ისტორიას, აგრეთვე ფესტივალის მსვლელობის პროცედურებზე და იმ ტრადიციებზე, რომლებიც ამ ფესტივალს უკავშირდება.

მუსიკალური მიმართულება

მუსიკალური მიმართულება ამ სამი თვის განმავლობაში ბადეში ინარჩუნებდა სტანდარტულ ზოლს: პარასკევს დამის ეთერში გადიოდა უცხოური მუსიკა და კვირას შუადღის ეთერში კლასიკა ან ფოლკლორი. 4 მაისს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ჩატარდა ვირტუოზი აკორდეონისტის რიშარ გალიანოს კონცერტი, რომლის ჩაწერის ექსკლუზიური უფლება საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მოიპოვა.

მაისში ეთერში გავიდა ახალი მუსიკალური გადაცემა “ფოლკლორი”, რომელმაც უკვე დაიმსახურა მაყურებლის მოწონება.

18 და 20 მაისს საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გადაიცა მუსიკალური კონკურსის “ევროვიზია 2006-ის” ნახევარფინალური და ფინალური კონცერტები. საზოგადოებრივი მაუწყებელი ფართოდ აშუქებდა 25-28 მაისს თბილისში ჩატარებულ ფორუმს “ქართული დიასპორა - ხიდი მსოფლიოსთან”. ამ მნიშვნელოვანი მოვლენის აღსანიშნავად მაყურებელს განმეორებით შევთავაზეთ ფესტივალ “ჩვენებურების” გალა-კონცერტი, რომელიც 2005 წელს გაიმართა, სადაც მონაწილეობას იღებდნენ უცხოეთში მცხოვრები ქართველები.

ივნისის თვე ძალიან მნიშვნელოვანი და დატვირთული იყო რიგით მეათე “კოკა-კოლა ჯაზ-ფესტივალის“ გამო.

14 - 23 ივლისს ეთნოგრაფიულ მუზეუმში ტარდება ფოლკლორის ფესტივალი “არტ-გენი”. თბილისს, საქართველოს ყველა რეგიონიდან ეწვევიან მომღერლები, მოცეკვავეები, მოშიარეები, რეწვის ოსტატები და მაყურებელს გააცნობენ საკუთარ შემოქმედებას. საზოგადოებრივი მაუწყებელი არის ფესტივალის საინფორმაციო მხარდამჭერი და ფლობს ამ ფესტივალის გაშუქების ექსკლუზიურ უფლებას.

“ევროვიზია 2006”

18 მაისს მაყურებელს საშუალება ჰქონდა, საზოგადოებრივი მაუწყებელი ეთერით თვალი ედევნებინა “ევროვიზია 2006” ნახევარფინალისთვის, 20 მაისს კი ფინალური კონცერტისთვის. კონკურსი წელს საბერძნეთში გაიმართა და მასში ევროპის 38 ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა. საზოგადოებრივი მაუწყებლის პირდაპირ ეთერში კონკურსს კომენტარს უკეთებდნენ მომღერალი ნეკა სებისკვერაძე და ჯგუფ “ვაკის პარკის” სოლისტი ზაზა ხუციშვილი. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მოსახლეობას პირველად მიეცა საშუალება პირდაპირი ეთერით თვალი ედევნებინა “ევროვიზია – 2006“- სათვის და წამყვანების მეშვეობით მიეღო ამომწურავი ინფორმაცია კონკურსის პირობების, მისი ისტორიის შესახებ, გაცნობოდა თითოეული მონაწილის მოკლე ბიოგრაფიას - რა გზა განვლეს მათ კონკურსში მოხვედრამდე. წამყვანები მაყურებელს ასევე მოუთხრობდნენ წარმოდგენილი საკონცერტო ნომრებისა და კონკურსანტთა ქვეყნების შესახებ.

საზოგადოებრივი მაუწყებელი გეგმავს ორგანიზება გაუწიოს ქართველი მომღერლის წარდგენას “ევროვიზია – 2007“, რისთვისაც დაწყებულია მოლაპარაკება კონკურსის ორგანიზატორებთან, რომლის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, შემოდგომაზე საქართველოში გაიმართება შესარჩევი

კონკურსი და გამოვლენილი გამარჯვებული საქართველოს სახელით წარსდგება მომავალ წელს.

“კოკა-კოლას ჯაზ-ფესტივალი”

22-29 ივნისს თბილისში ჩატარდა რიგით მეათე “კოკა-კოლას ჯაზ-ფესტივალი”, სადაც მონაწილეობა მიიღეს მსოფლიო დონის ვარსკვლავებმა: ჯგუფი “JAMIROQUAI”, ჰერბი ჰენკოკი, ფრედი კოული, ჯგუფი “THE THREE LADIES OF BLUES” და “თბილისის ბიგ-ბენდი”.

საზოგადოებრივი მაუწყებელი ამ ფესტივალის ერთ-ერთი საინფორმაციო მხარდამჭერი იყო და აშუქებდა ფესტივალის მიმდინარეობას. ფესტივალის ორგანიზატორმა კომპანიამ “Eastern Promotion” საზოგადოებრივ მაუწყებელს ეთერში გაშვების უფლებით მიაწოდა სამი დოკუმენტური ფილმი და ორი კონცერტი :

- “დიუკის სახლი”.
- “ყველასათვის უცნობი კოული”.
- “ჰერბი ჰენკოკი - შესაძლებლობები”, რომლის ევროპული პრემიერა საზოგადოებრივ მაუწყებელზე შედგა.
- მარკუს მილერი – კონცერტი
- კრის ბოტი – კონცერტი

ფესტივალის ორგანიზატორებისგან საზოგადოებრივ მაუწყებელმა ასევე მიიღო 29 ივნისს გამართული კონცერტის (ფრედი კოული, ჯგუფი “THE THREE LADIES OF BLUES” და თბილისის ბიგ-ბენდი) ექსკლუზიური ჩაწერის და შემდგომში ეთერში გაშვების უფლება. ჰერბი ჰენკოკმა ვრცელი ექსკლუზიური ინტერვიუ ქართული ტელევიზიებიდან მხოლოდ საზოგადოებრივ მაუწყებელს მისცა.

მუსიკალური ზოლი:

აპრილი

- 02.04.06 - ქართული ცეკვის ზეობა
- 07.04.06 – ჯგუფი “ინკოგნიტო”
- 14.04.06 – ჯგუფი “შინი” მეგობრებთან ერთად
- 16.04.06 - ბრუკნერის სიმფონია №1
- 21.04.06 - ბობ მინცერი და თბილისის ბიგ-ბენდი
- 23.04.06 - საპატრიარქოს კონცერტი (ქრისტე აღსდგა)
- 28.04.06 - როკ’ნ როლის ლეგენდები - 0’58
- 29.04.06 – ოპერა “აბესალომ და ეთერი”
- 30.04.06 - ბეთჰოვენის სიმებიანი კვარტეტი

მაისი

- 05.05.06 - ერიკ კლაპტონი და ჯონ მეიოლი.
- 12.05.06 – ჯო კოკერი.
- 14.05.06 – ვაგნერის უვერტიურა.
- 18.05.06 – კონკურსი “ევროვიზია”. პირდაპირი ტრანსლიაცია (ნახევარფინალი).
- 20.05.06 - “ჩვენებურები” (ფილარმონია) 2005.

- 20.05.06 – კონკურსი “ევროვიზია”. პირდაპირი ტრანსლიაცია (ფინალი).
- 21.05.06 - სტრავინსკი “კურთხეული გაზაფხული”.
- 24.05.06 – ”ჩვენებურები” (ოპერა) 2005.
- 26.05.06 – ანსამბლი “უნივერსიტეტი”.
- 27.05.06 - “დონ კოსოტი”
- 28.05.06 – გადაცემა “ფოლკლორი”.

ივნისი

- 02.06.06 – “შინი“ და რედნი ბრეკერი
- 04.06.06 – გადაცემა “ფოლკლორი”.
- 11.06.06 – გადაცემა “ფოლკლორი”.
- 13.06.06 – ბი ბი კინგი (თბილისში 1978)
- 13.06.06 – კრის ბოტი
- 15.06.06 – მარკუს მილერი
- 16.06.06 – ჯორჯ დიუკი. დიუკის სახლი (დოკ.ფილმი)
- 18.06.06 – გადაცემა “ფოლკლორი”.
- 19.06.06 – ჰერბი ჰენკოკი (დოკ.ფილმი)
- 20.06.06 – ჰერბი ჰენკოკი (დოკ.ფილმი)
- 20.06.06 – ბი ბი კინგი (თბილისი 1978)
- 21.06.06 – ჯგუფი “შინ“ ეგარი
- 22.06.06 – ჯორჯ დიუკი. დიუკის სახლი (დოკ.ფილმი)
- 23.06.06 – ბილ ევანსი
- 23.06.06 – ყვალასათვის უცნობი კოული (დოკ.ფილმი)
- 25.06.06 – გადაცემა “ფოლკლორი”.
- 28.06.06 – ნატ კინგ კოლი
- 29.06.06 – ქუინსი ჯონსი (დოკ.ფილმი)
- 30.06.06 – დათო ოძელაშვილი

საგანმანათლებლო პროგრამები

“სასამართლო დარბაზი”

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მაისის თვეში მუშაობა დაიწყო ახალ პროექტზე - იმიტირებული სასამართლოს სატელევიზიო ვერსია. აღნიშნული პროექტი, რომელიც უზენაეს სასამართლოსთან ერთად ხორციელდება, მიზნად ისახავს საზოგადოების სამართლებრივი განათლების ამაღლებას. სცენარები მომზადებულია სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ საქმეებზე. სცენარები ეკუთვნის მწერალ ნუგზარ შატაიძეს. გადაცემის ფორმატი სასამართლო დარბაზში და გარე გადაღებებს ითვალისწინებს. მასში მონაწილეობას იღებენ მსახიობები, მოსამართლე კი რეალური პიროვნებაა.

ახალი პროექტი ეთერში პირველად 27 მაისს გავიდა. გადაცემის თემა იყო დაუსაბუთებელი ქონება. სასამართლოზე დეპუტატმა ფაქტობრივად ვერ დაასაბუთა საკუთარი ქონების შექენის კანონიერი გზები. მას ქონება ჩამოერთვა და გადაეცა სახელმწიფოს.

მეორე გადაცემა, რომელიც ეთერში 3 ივნისს გავიდა ორჭუსის კონვენციას მიეძღვნა. მოსახლეობამ მერიის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა. სასამართლომ გადაწყვეტილება მოსახლეობის სასარგებლოდ მიიღო.

მესამე გადაცემა აღმკვეთ ღონისძიებას შეეხებოდა. არასწორად შედგენილი ოქმის შედეგად სასამართლო დარბაზიდან მოსამართლემ დაკავებული გაათავისუფლა.

კიდევ ერთი სცენარი, რომელიც ეთერში უკვე 17 ივნისს გავიდა, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას მიეძღვნა. ამჟამად გადაღებები მიმდინარეობს და მზადდება გადაცემა უდანაშაულობის პრეზუმფციის შესახებ. პროექტი “სასამართლო დარბაზი” აქტიურად დაიწყებს სამოქალაქო საქმეების იმიტირებულ სასამართლო პროცესებზე მუშაობას.

სხვადასხვა

„საქართველოს სოფლები“

4 აპრილიდან კვირაში სამჯერ საზოგადოებრივი რადიოს ეთერშია შემეცნებითი ხასიათის გადაცემა „საქართველოს სოფლები“. 5-10 წუთიანი ქრონომეტრაჟის გადაცემა რეგიონების საინტერესო კუთხით წარმოიჩინასა და მსმენელისთვის ამა თუ იმ სოფლის ისტორიის, ფოლკლორის, სხვადასხვა ტრადიციების გაცნობას ისახავს მიზნად. გადაცემა ჩანაწერის სახით გადის ეთერში. ავტორის ტექსტთან ერთად გადაცემაში ამა თუ იმ სოფელში მცხოვრები სახალხო მოქმედებისა და მომღერლების ლექსები და სიმღერებიცაა ჩართული.

„საუკუნის პრესა“

1 მაისიდან რადიოს პირველი არხის ეთერშია რუბრიკა ხუთწუთიანი ქრონომეტრაჟით. გადაცემა ეძღვნება ასი წლის წინ გამოცემული გაზეთების მიმოხილვას. რუბრიკას შესაბამისი მუსიკალური შეფუთვა აქვს და დიდ ინტერესს იწვევს მსმენელში. გადაცემა წარმოაჩენს მეოცე საუკუნის დასაწყისის ცხოვრების თავისებურებებს, გასული საუკუნის მნიშვნელოვან მოვლენებს. ძველი პრესის მიმოხილვასთან ერთად პარალელურია გავლენიანი თანამედროვეობასთან.

რადიოკლიპები

მაისში რადიოს 81 წლის იუბილესთან დაკავშირებით საზოგადოებრივი რადიოს პირველი არხის ეთერში გავიდა 15 რადიოკლიპი. საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები საუბრობენ რადიოზე, იხსენებენ რადიოსთან დაკავშირებულ ისტორიებს. ქრონომეტრაჟი 5 წთ.

„რჩევები სოციალურ საკითხებზე“

6 ივნისიდან რადიოს პირველი არხის ეთერშია რჩევები სოციალურ საკითხებზე. გადაცემის წამყვანი მსმენელისთვის პოპულარულ ენაზე მოგვითხრობს სახელმწიფოს მიერ დაწესებული სოციალური შეღავათებისა და დახმარებების შესახებ. მსმენელი ღებულობს დაწვრილებით ინფორმაციას, რა შეღავათებით და უფლებებით სარგებლობენ ხელმოკლე ოჯახები, ინვალიდები და სხვა სოციალური ჯგუფების წარმომადგენლები. გადაცემა მიზნად ისახავს საზოგადოების ინფორმირებას სოციალურ საკითხებზე და ეხმარება მოქალაქეებს იმის გარკვევაში, თუ რა გზას უნდა მიმართონ ამა თუ იმ შეღავათის მოსაპოვებლად.

„პიკის საათი“ გირჩევთ

7 ივნისიდან კვირაში ერთხელ რადიოს პირველი არხის დილის პროგრამა „პიკის საათის“ ეთერშია სხვადასხვა სახის საყოფაცხოვრებო რჩევები დიასახლისებისა და არა მარტო მათთვის შესაბამისი მუსიკალური შეფუთვით. რუბრიკა 4 წუთიანი ქრონომეტრაჟით გადის და მოსახლეობას სასარგებლო რჩევებს აწვდის სხვადასხვა საკითხზე.

„ერთი სიყვარულის ამბავი“

18 ივნისიდან ყოველ კვირას რადიოს პირველი არხის დილის პროგრამა „პიკის საათის“ ეთერშია ცნობილი თანამედროვე წყვილების სასიყვარულო ისტორიები.

“ადრე”

საზოგადოებრივი მაუწყებლის დილის გადაცემა „ადრე“ სექტემბრის თვეში სერიოზულ ცვლილებებს გეგმავს. ახალი სატელევიზიო სეზონიდან გადაცემა ეთერში მთლიანად განახლებული ფორმატით გავა. ახალ ფორმატზე მუშაობასთან ერთად, პროგრამა აქტიურად განაგრძობს მუშაობას ყოველდღიურ რეჟიმში და მუდმივად ითვალისწინებს საზოგადოებრივ აზრსა და მოთხოვნებს.

მნიშვნელოვანი ცვლილება, რაც ამ პერიოდში გადაცემამ განიცადა იყო **საბავშვო ზოლის** დამკვიდრება. მარკეტინგულმა კვლევებმა ცხადყო, რომ უმჯობესი იქნებოდა, თუ გარკვეული დრო დილის გადაცემაში ბავშვებს დაეთმობოდათ. ამ კვლევებზე დაყრდნობით პროგრამაში „ბასტი-ბუბუს“ გმირები – „დილის დიჯეი“, „მწვანე ვიდეო“ და „ფუსფუსა“ შემოვიდნენ. გადაცემა საბავშვო ზოლით იწყება და სრულდება. გმირები ძალიან მალე გახდნენ პოპულარულები.

მაისში დამკვიდრდა დილის გადაცემის **ანონსის სისტემა**. ყოველ საღამოს ეთერში რამდენჯერმე გადის მომავალი დღის გადაცემის ანონსი. წამყვანები და პირდაპირი ჩართვის კორესპონდენტი წინასწარ აკეთებენ მომდევნო დღის თემების ანონსს.

ამავე პერიოდში „ადრეს“ დაემატა ახალი რუბრიკა - **“ნაციონალური სამზარეულო”**. მომზადდა სპეციალური სტუდია და მოხდა მისი შესაბამისი ტექნიკური და შემოქმედებითი რესურსებით უზრუნველყოფა. „ნაციონალური სამზარეულოში“ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები, საქართველოს რეგიონების მცხოვრებლები ტრადიციულ კერძებს ამზადებენ. რუბრიკის წამყვანია დილის გადაცემის ერთ-ერთი სახე - ქეთი კეკელია, როემლსაც მაყურებელი უკვე კარგად იცნობს. ამ რუბრიკაში თანაბრად იქნება წარმოდგენილი აფხაზური, ოსური, ქართული, სომხური თუ აზერბაიჯანული სამზარეულო და ეროვნული ტრადიციები. რუბრიკა გაიხსნა აფხაზური სამზარეულოთი, მომდევნო გადაცემაში სტუმრად გვეყავდა სომხური დიასპორის წარმომადგენელი. გავეცანით ოსური სამზარეულოს თავისებურებებს. „ნაციონალური სამზარეულოს“ მთავარი თავისებურება ისაა, რომ ის მოიცავს საქართველოში მცხოვრები ყველა კუთხესა და ეთნოსს. სტუდიის სტუმრები საუბრობენ არა მარტო ეროვნული კერძების მომზადების წესზე, არამედ მათ ტრადიციებსა და ჩვეულებებზეც.

აპრილი-ივნისის პერიოდში გადაცემას ბევრი საინტერესო სტუმარი ჰყავდა - ყოველდღიურად ხდებოდა აქტუალური საზოგადოებრივი, შემეცნებითი, კულტურული თუ ყოფითი თემების გაშლა. ეს გულისხმობს არა მარტო

რეპორტაჟების მომზადებას ამა თუ იმ თემაზე, არამედ სტუმრების სტუდიაში მოწვევას და ამ საკითხის უფრო დეტალურ განხილვას. ჩართვები კეთდებოდა კულტურის, ხელოვნებისა და სპორტის საკითხებზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა არქივს, ისტორიულ მოვლენებს და მნიშვნელოვან თარიღებს, - მაქსიმალურად ხდებოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის მდიდარი არქივის გამოყენება.

პროგრამის პრიორეტივია ასევე ექსკლუზიური ინფორმაციის მოწოდება ხელოვნების, კულტურისა თუ სხვა სფეროებიდან. შესაბამისად, დილის გადაცემაში ხშირად შექდებოდა ისეთი საკითხები, რომლებიც უკვე შემდეგ დღის განმავლობაში საინფორმაციო პროგრამების განხილვის საგანი არაერთხელ გამხდარა.

დილის პროგრამაში ტრადიციულად წარმატებით გრძელდებოდა რუბრიკები საგანმანათლებლო და ლიტერატურულ საკითხებზე. ამ რუბრიკებშიც მწერლებმა ზაალ სამადაშვილმა და ლაშა ბუღაძემ არაერთი მნიშვნელოვანი მოვლენაზე გაამახვილეს ყურადღება.

პროგრამას სტუმრობდნენ ცნობილი სახეები ხელოვნების, სპორტის, კულტურის სფეროებიდან, მათ შორის ბევრი უცხოეთში მოღვაწე ქართველი. მაგალითად: დანიაში მოღვაწე ქართველი პიანისტი ნინა ქავთარაძე, მოსკოვში მოღვაწე ცნობილი მომღერალი სოფო ნიჟარაძე, ცნობილი ბალერონი იგორ ზელენსკი, ქართული საბალეტო დასის ხელმძღვანელი ნინო ანანიაშვილი, კანისა და სანდენსის კინოფესტივალების გამარჯვებული რეჟისორი გელა ბაბლუანი.

მაისის თვეში გადაცემის სტუმრები იყვნენ ცნობილი რუსი ჟურნალისტი ლეონიდ პარფიონოვი, ცნობილი საოპერო მომღერალი პაატა ბურჭულაძე, უცხოეთში ქართული დიასპორის წარმომადგენლები, ისრაელის ტელევიზიის ხელმძღვანელობა, თეატრისა და ხელოვნების სხვა სფეროების ცნობილი სახეები. გადაცემაში დიდი დრო დაეთმო სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების, ფესტივალების გაშუქებას, მაგალითად, როგორცაა წიგნის ფესტივალი. 26 მაისის - საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი პროგრამა თემატურად მთლიანად ამ თარიღს დაეთმო.

ივნისშიც შევეცადეთ მაქსიმალურად გაგვეშუქებინა კულტურის სფეროში მიმდინარე მოვლენები, მიგვეწოდებინა მაყურებლისთვის ექსკლუზიური და აქტუალური ინფორმაცია. ამ თვეში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში და ჯაზ-ფესტივალი. ასევე აქტუალური იყო ეროვნული გამოცდები, საგანმანათლებლო თემები, რეფორმები სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში. ამ საკითხებს მიმოიხილაგდა ზაალ სამადაშვილი.

„სარჩევი“

“სარჩევი” შემეცნებით-საგანმანათლებლო გადაცემაა, რომელიც პირდაპირ ეთერში გადის ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა, დღის პირველი საათიდან ორ საათამდე. გადაცემის საეთერო დროის გათვალისწინებით, მისი ძირითადი მაყურებლები დიასახლისები არიან; ასევე ის ადამიანები, რომელთაც ამ დროს, ანუ 13.00-დან 14.00-მდე სამსახურში შესვენება აქვთ. “სარჩევის” ძირითადი მიზანი აუდიტორიისათვის რჩევების მიცემაა. ამიტომ მთელი თვის განმავლობაში “სარჩევი” მზადდება იურიდიულ, სამედიცინო, ყოფით, ნაკლებად

პრობლემატურ საკითხებზე - მოდაზე, ლიტერატურაზე. ასევე საგანმანათლებლო თემატიკაზე.

გადაცემაში არის მუდმივი რუბრიკები: “მარჯვე ხელები”, “რჩევები ცნობილებისგან”, “ქალი და კოსმეტიკა”, “ფლორა”, “ფიტოთერაპია”, “რჩევები ბავშვებისა და მათი მშობლებისათვის” და “სამზარეულო”, რომლებიც მათთვის განკუთვნილ დღეებში შესაბამისი თემატიკით გადის ეთერში.

გადაცემის შინაარსი და სპეციფიკა გათვლილია იმაზე, რომ “სარჩევის” მსვლელობის პროცესში შემოვიდეს სატელეფონო ზარები. ამიტომ მაყურებელს საშუალება აქვს, პირდაპირ ეთერში ტელეფონით დაუსვას შეკითხვა მოწვეულ სტუმრებს და მიიღოს კვალიფიციური პასუხი მათგან. პარალელურად გადაცემაში გადის ჟურნალისტების მიერ მომზადებული ერთი სიუჟეტი და სამი რჩევა გადაცემის მთავარ თემასთან დაკავშირებით.

გადაცემის თემატიკა ძირითადად მიმდინარე მოვლენებისა და მაყურებლების სურვილის მიხედვით ირჩევა. აპრილში “სარჩევი” შემდეგ თემებს დაეთმო: მინერალური ქვები და მათი სამკურნალო თვისებები, საგაზაფხულო მოდის ტენდენციები თბილისში, სკოლის ასაკის ბავშვები და მათი განვითარების პრობლემები, სათამაშოები ბაღის ასაკის ბავშვებისთვის, ოთახის მცენარეებისა და ყვავილების მოვლა. ბინის დიზაინი და ახალი ბინათმშენებლობები თბილისში, მიწისა და ბინის პრივატიზება და მემკვიდრეობის საკითხები. მედიცინისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროდან საინტერესო სტუმრების მეშვეობით გადაცემაში გაშუქდა თვალისა და მხედველობის პრობლემები, კბილების პრობლემები, ზედმეტი წონის პრობლემები და სხეულის კორექცია, ეპილეფსია, სხივური დიაგნოსტიკა.

მაისში “სარჩევის” ორი გადაცემა მომზადდა მოსწავლეების, აბიტურიენტებისა და სტუდენტებისათვის. საერთო ეროვნული გამოცდების ცენტრიდან მოწვეულმა სტუმრებმა სოფო დოლიძემ და სოსო გოგლიძემ აბიტურიენტებს მისაღები გამოცდებზე მოსალოდნელი სიახლეები გააცნეს. ნინო სულაძემ და დავით კასრაძემ სტუდენტთა დასაქმებასა და ახალგაზრდულ ბანაკებში გამგზავრების მსურველებს მისცეს რჩევები.

ევროვიზიის კონკურსთან დაკავშირებით “სარჩევი” 18 მაისს გაკეთდა გადაცემა, თუ როგორ მივიღოთ მონაწილეობა სხვადასხვა კონკურსებზე. სტუმრად მოწვეული გეყავდა მარინა ბერიძე და თამრიკო სხვიტარიძე, რომლებმაც სხვადასხვა კონკურსების, ევროვიზიის კონკურსისა და ევროვიზიის საბავშვო კონკურსის შესახებ ისაუბრეს.

ივნისის “სარჩევის” რამდენიმე გადაცემა მომზადდა მოსწავლეების, აბიტურიენტებისა და სტუდენტებისათვის. ლელა ბერიძემ და მედეა აბულაშვილმა ისაუბრეს უცხო ენების შემსწავლელ არატრადიციულ თუ ტრადიციულ მეთოდებზე. ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით სტუდიაში მოწვეული იყვნენ მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის პედაგოგები და სპორტსმენები, რომლებმაც ბავშვთა განათლებასა და დასაქმებაზე ისაუბრეს. ასევე ფსიქოლოგმა ზაზა ვარდიანიშვილმა რჩევები მისცა გარდატეხის ასაკის ბავშვებსა და მათ მშობლებს. მერიის საქალაქო სამსახურის “თბილისის კორპუსის” ხელმძღვანელმა ზურაბ კიკალეიშვილმა და მერიის საქალაქო სამსახურის “თბილისის კორპუსის” ისანი-სამგორის რაიონის კოორდინატორმა გიორგი გოცირიძემ თბილისში ჩამოყალიბებულ ამხანაგობების წევრებსა და

თბილისში სახურავების, ლიფტების, სადარბაზოების და წყალგაყვანილობების მსურველებს მისცეს რჩევები. საბაჟო სამსახურის უფროსმა ლევან ჯღარკავამ და საპატრულო სამსახურის უფროსმა გოგა გრიგალაშვილმა მანქანების განბაჟებაზე, ჯარიმებსა და მართვის მოწმობებზე ისაუბრეს.

“სარჩევი” კვირაში ორჯერ გადაცემას უთმობს სამედიცინო თემატიკას, რაც განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. სამედიცინო თემატიკიდან მაისში ყურადღება გამახვილდა: კოსმეტოლოგიასა და სახის კანის მოვლაზე, თმისა და ფრჩხილების მოვლაზე, კუჭისა და ნაწლავების პრობლემებზე, დიაბეტსა და ენდოკრინოლოგიურ დაავადებებზე, მამოლოგიასა და პლასტიკურ ოპერაციებზე, ტუბერკულოზისა და ფილტვების დაავადებებზე, აგრეთვე ლეიშმანიოზზე.

2 მაისს გადაცემა მიეძღვნა ინვალიდების და უნარშეზღუდული ადამიანების საზოგადოებაში ინტეგრაციის თემას. სტუმრად მოწვეულები იყვნენ ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები გიორგი მარჯანიძე და ლოლიტა შენგელია. სარჩევის ერთ-ერთი თემა იყო ფეხმძიმობა, აგრეთვე სისხლისა და სისხლძარღვების დაავადებები, სიმსივნური დაავადებების სხივური და მედიკამენტოზური თერაპიით მკურნალობა, აღმოსავლური მედიცინა, სხეულის კორექცია და სხვა.

კვირაში ერთი დღე “სარჩევში” იურიდიულ თემატიკას ეთმობა. მოწვეული გვეყავდა სტუმრები, რომლებიც საუბრობდნენ და მაყურებელთა შეკითხვებს პასუხობდნენ:

შვილება-გაშვილების წესებზე; პასპორტების, ვიზებისა და დეპორტაციის შესახებ; საბანკო მომსახურებასა და ბანკებზე.

ტრანსლაციები:

საანგარიშო პერიოდში ტრანსლაციების ჯგუფმა განახორციელა შემდეგი ტრანსლაციები:

აპრილი

- 7 აპრილი - ჩოგბურთი - სპორტის სასახლე - პე
- 7 აპრილი - პრეზიდენტის შეხვედრა ამერიკული კოლეჯის სტუდენტებთან - პე
- 8 აპრილი - ჩოგბურთი - სპორტის სასახლე - პე
- 9 აპრილი - ჩოგბურთი - სპორტის სასახლე - პე
- 10 აპრილი - თეატრი - ახმეტელი - „მეორედ მოსვლა ანუ ვიზიტი“
- 10 აპრილი - პრეზიდენტის შეხვედრა რეგიონული ტელევიზიების ეერნალისტებთან
- 14 აპრილი - ხელბურთი - სპორტის სასახლე -პე
- 15 აპრილი - ხელბურთი - სპორტის სასახლე -პე
- 16 აპრილი - კალათბურთი - ვერის პარკი -პე
- 21 აპრილი - პრეზიდენტი ბრიფინგი წეროვანიდან (ტრაქტორები) -პე
- 22 აპრილი - აღდგომა - იერუსალიმი -პე
- 22 აპრილი - აღდგომა - სამება -პე
- 24 აპრილი - ფესტივალი – ამადლება (რუსთაველის თეატრი)
- 26 აპრილი - ფესტივალი - ამადლება (ბერძენიშვილის ცენტრი)

მაისი

- 1 მაისი -- ვერის პარკი -- კალათბურთი-- პ/ე
- 4 მაისი -- ოპერა -- რიშარ გალიანო
- 7 მაისი -- პარლამენტი -- ხორვატიის პრეზიდენტის ვიზიტი პ/ე
- 8 მაისი -- ფილარმონია -- „ღიმილი მინდა“
- 11 მაისი -- ვერის პარკი -- კალათბურთი-- პ/ე
- 20 მაისი -- ვერის პარკი -- კალათბურთი-- პ/ე
- 26 მაისი -- მერიოტი -- სააკაშვილის გამოსვლა
- 26 მაისი -- აღლუმი და კონცერტი
- 29 მაისი -- ოპერა -- ანდრია ბალანჩივაძის იუბილე

ივნისი

პარლამენტის სხდომების პირდაპირი ტრანსლაციები

- 3 ივნისი - კონსერვატორია - კავკასიის ორკესტრი
- 5 ივნისი- კონსერვატორია - კავკასიის ორკესტრი
- 9 ივნისი - პრეზიდენტის შეხვედრა - სამედიცინო უნივერსიტეტი - პ/ე
- 10 ივნისი - პრეზიდენტის შეხვედრა - საოლქო სასამართლო - პ/ე
- 20 ივნისი - პრეზიდენტის ბრიფინგი - მარიოტი - პ/ე
- 21 ივნისი - პრეზიდენტის ბრიფინგი - კანცელარია -მშენებლები - პ/ე
- 22 ივნისი - პრეზიდენტის ბრიფინგი - კანცელარია - სოფლის მეურნეობა-პ/ე
- 24 ივნისი - თუმანიშვილის თეატრი - "აღუბლის ბაღი"
- 29 ივნისი - ჯაზფესტივალი - ფილარმონია

ვებ – გვერდი

დაიწყო აქტიური მუშაობა საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი ვებ-გვერდის დამზადებაზე. დღეისათვის უკვე შემუშავებულია მთავარი გვერდი, საბავშვო გვერდი და სპორტული გვერდი, რომელიც ამჟამად ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატს და ჩემპიონატთან დაკავშირებულ ღონისძიებებს ეძღვნება. მომზადდება აგრეთვე ცალკე გვერდი ჩვენს შესახებ, სამეურვეო საბჭოს საქმიანობაზე, მოამბე, დოკუმენტური ფილმები, თოქ-შოუ, რადიო, არქივი, პროგრამები, სარეკლამო საქმიანობა და საკონტაქტო ინფორმაცია.

ახალი დიზაინის შემუშავებასთან ერთად ვმუშაობთ ვებ-მაუწყებლობის დანერგვაზე. ახალი ვებგვერდის ჩაშვებასთან ერთად შესაძლებელი იქნება საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემების ნახვა და ჩამოტვირთვა.

არქივი

საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივი რეაბილიტაციის პროცესშია. არქივის საცავის შექმნის მიზნით ჩატარდა სარემონტო სამუშაოები. საგრძნობლად გაუმჯობესდა ტექნიკური აღჭურვილობა. მოხდა არქივის ახალი მძლავრი კომპიუტერებით უზრუნველყოფა. ამ პერიოდში დაინერგა კომპიუტერული პროგრამა საარქივო მასალების სისტემატიზაციისთვის. საარქივო ფონდის სისტემატიზაცია გულისხმობს ფონდში დაცული მასალების აღრიცხვას, შინაარსობრივ დამუშავებას და მათ საფუძველზე სპეციალურ კომპიუტერულ პროგრამაში მონაცემთა ბაზის შექმნას. აპრილი-ივნისის პერიოდში გაშიფრული და სისტემატიზირებული კასეტების რაოდენობამ 320 შეადგინა. აქედან:

პროგრამების განყოფილება: BTC	VHS	DVC	DVD
116 ც.	78 ც.	4 ც.	71 ც.

საინფორმაციო განყოფილება: DVC (3 სთ.) 51 ც.

პარალელურად მიმდინარეობს საარქივო მასალების ციფრულ მატარებლებზე გადატანა. მეორე კვარტალში ქართული ტელევიზიების კინოფირიდან ციფრულ (DVCAM) მატარებლებზე გადმოტანილია 61 საათის ხანგრძლივობის 82 აუდიო-ვიზუალური ნაწარმოები, კერძოდ:

1. რუსთავის ხმები (დოკ/ფილმი)
2. მღერის ანსამბლი რუსთავი (დოკ/ფილმი)
3. სიყვარულის სიმღერები (დოკ/ფილმი)
4. ჰამლეტ გონაშვილი (საფონდო მასალა)
5. თემო (მხ/ფილმი)
6. უკანასკნელი მასკარადი (მხ/ფილმი)
7. პრემიერა (მხ/ფილმი)
8. ლელოს შემობრუნება (დოკ/ფილმი)
9. ავლიპ ზურაბაშვილი (დოკ/ფილმი)
10. ქართული ფული (დოკ/ფილმი)
11. სტადიონი ოლიმპიადა (დოკ/ფილმი)
12. იქნებ ნახატში გადარჩეს (ელენე ახვლედიანი) (დოკ/ფილმი)
13. დოდო აბაშიძე (ფრაგმენტები)
14. ფრაგმენტები დოკუმენტური ფილმიდან (ხრუშჩოვის კადრები)
15. მიხეილ თუმანიშვილი (დოკ/ფილმი)
16. მიხეილ თუმანიშვილი (ფრაგმენტები)
17. მაიაკოვსკი (ფრაგმენტები)
18. ინტერვიუ ვახტანგ ჭაბუკიანთან (საფონდო)
19. მ. ხერგიანი (დოკ/ფილმი) (6 ნაწილი)

20. წელი 73 (დოკ/ფილმი) (5 ნაწილი)
21. წელი გადამწყვეტი (1974 წელი) (დოკ/ფილმი) (6 ნაწილი)
22. წელი დამამთავრებელი (1975 წელი) (დოკ/ფილმი) (5 ნაწილი)
23. ფრაგმენტები (სპორტული, ჭიდაობა) (2 ნაწილი)
24. წელი 1976 (დოკ/ფილმი) (6 ნაწილი)
25. წელი 1977 (დოკ/ფილმი) (9 ნაწილი)
26. საბჭოთა საქართველო (1983 წელი) (1 ნაწილი)
27. აზოტი („არის ასეთი ქარხანა“) (92 ნაწილი)
28. საბჭოთა აფხაზეთი №9 (1987 წელი) (1 ნაწილი)
29. წელი 1978 (8 ნაწილი)
30. წელი 1979 (7 ნაწილი)
31. წელი 1980 (5 ნაწილი)
32. მოკ/ფ „კედელი“ (2 ნაწილი)
33. მოკ/ფ „სუფთა დაფა“ (3 ნაწილი)
34. მოკ/ფ „ზღარბი“ (3 ნაწილი)
35. ჰამლეტ გონაშვილი (სიმღერა „დაიგვიანეს“) (1 ნაწილი)
36. დოკ/ფილმი „რექტორი“ (3 ნაწილი)
37. წელი 1981 (9 ნაწილი)
38. ანა კალანდაძე (2 ნაწილი)
39. ანა კალანდაძე კითხულობს ლექსებს (1 ნაწილი)
40. ქ. ლანდია (ინტერვიუ) (1 ნაწილი)
41. წელი 1982 (8 ნაწილი)
42. წელი 1983 (11 ნაწილი)
43. ავტობორტრეტი (მოკ/ფილმი) (რეჟისორი ერეკლე ზადურეშვილი) (3 ნაწილი)
44. ვ. ანჯაფარიძე (6 ნაწილი)
45. ვ. ანჯაფარიძე (საფონდო) (2 ნაწილი)
46. საბჭოთა საქართველო 1984წ. (6 ნაწილი)
47. საბჭოთა საქართველო 1985წ. (6 ნაწილი)
48. დოკ/ ფილმი „ზურაბ ანჯაფარიძე“ (6 ნაწილი)
49. საფონდო მასალა ზურაბ ანჯაფარიძე (2 ნაწილი)
50. საბჭოთა საქართველო 1984წ. (9 ნაწილი)
51. დოკ/ ფილმი „კინოსტუდია ქართული ფილმის გახსნა“ (1 ნაწილი)
52. დოკ/ფილმი „მშობლიური ჩემო მიწავ გადაღების პროცესი“ (1 ნაწილი)
53. მოკლემეტრაჟიანი მხ/ფილმი „მატარებელი“ (1 ნაწილი)
54. საფონდო მასალა იპოლიტე ხვიჩია (3 ნაწილი)
55. ფრაგმენტები დოკ/ფილმებიდან (8 ნაწილი)
56. საბჭოთა საქართველო 1987წ. (9 ნაწილი)

57. საფონდო მასალა ნოდარ დუმბაძე (10 ნაწილი)
58. საბჭოთა საქართველო 1988წ. (6 ნაწილი)
59. დოკ/ფილმი „იმერეთი“ (2 ნაწილი)
60. ფეხბურთი (სსრკ - უნგრეთი 1986 წელი) (დიდი ვიდეო)
61. ფეხბურთი (გერმანია - დანია 1992 წელი) (დიდი ვიდეო)
62. ფეხბურთი ევროპის ჩემპიონატი 1988 წ. სსსრკ – იტალია (დიდი ვიდეო)
63. ფეხბურთი ევროპის ჩემპიონატი 1988 წ. სსსრკ – პოლანდია (დიდი ვიდეო)
64. თბილისის დინამოსა და მსოფლიო ჩემპიონატის გოლები (დიდი ვიდეო)
65. ფრაგმენტები დოკ/ფილმიდან “საბჭოთა ჯარი” (10 ნაწილი)
66. დოკ/ფილმი “მეგობრობა” (2 ნაწილი)
67. დოკ/ფილმი “შეგხედოთ ცას” (2 ნაწილი)
68. დოკ/ფილმი “მღერის მედეა ამირანაშვილი (5 ნაწილი)
69. საფონდო “საბჭოთა საქართველო” (1973, 1958, 1931, 1966, 1945 წ.წ.) (6 ნაწილი)
70. საბჭოთა საქართველო №22 (1958 წ.) (1 ნაწილი)
71. საბჭოთა ოსეთი 15 წლისთავი (1936 წ.) (1 ნაწილი)
72. საბჭოთა საქართველო №15 (1962 წ.) (1 ნაწილი)
73. დოკ/ფილმი “საქართველო ლეგენდები და სინამდვილე” (1 ნაწილი)
74. საბჭოთა საქართველო (1946 წ.) (1 ნაწილი)
75. საფონდო მასალა “საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში” (1 ნაწილი)
76. საფონდო მასალა აფხაზეთის კადრები (1 ნაწილი)
77. ფილმი-ბალეტი „პრომეთეოსი“ (3 ნაწილი)
78. დოკ/ფილმი „საიდუმლო“ (4 ნაწილი)
79. საფონდო მასალა „საბჭოთა საქართველო 1972წ.“ (6 ნაწილი)
80. კინო-ჟურნალი „საბჭოთა კონო 1983.“ (1 ნაწილი)
81. საკონცერტო ნომრები (3 ნაწილი)
82. ნახევარი საუკუნე მატიაწე (რუსული ვერსია) (6 ნაწილი)

მაისში მოხდა არქივის კომერციული საქმიანობის რეორგანიზაცია. შემუშავებული იქნა ახალი სატარიფო პოლიტიკა.

საზოგადოებასთან ურთიერთობა

დოკუმენტური ფილმების საპრემიერო ჩვენებები

საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობა და დოკუმენტურ-პუბლიცისტური ფილმების წარმომადგენლები ეწვივნენ რამდენიმე სასწავლებელს დოკუმენტური ფილმების საპრემიერო ჩვენებისათვის და საჩუქრად გადასცეს ვიდეო-კასეტაზე ჩაწერილი დოკუმენტური ფილმები.

3 აპრილს, დოკუმენტური ფილმის „ეროსი“-ს პრემიერა შედგა თეატრალურ უნივერსიტეტში.

10 აპრილს, დოკუმენტური ფილმის „გუდიაშვილი“-ს პრემიერა შედგა სამხატვრო აკადემიაში.

დოკუმენტური ფილმების ჩვენება სკოლებში

საზოგადოებრივი მაუწყებელი განაგრძობს დოკუმენტურ-პუბლიცისტური ფილმების ჩვენებას საშუალო სკოლებში, ფილმს წარადგენენ გადაცემა „მომამის“ წამყვანები და მოუწოდებენ მოსწავლეებს, რომ ფილმების შესახებ თავიანთი აზრი გამოხატონ მაუწყებლის ვებ-ფორუმში.

6 აპრილიდან 5 მაისის ჩათვლით დოკუმენტური ფილმის „გალაკტიონის“ ჩვენება შედგა 63-ე, 90-ე, 136-ე, 147-ე, №1 სკოლებში.

22 და 29 მაისს საზოგადოებრივი მაუწყებლის საბავშვო გადაცემის გმირი ბაბილინა ესტუმრა № 3 და №1 საბავშვო ბაღებს, ბაღებში ჩატარდა მოკლე კონცერტი და დარიგდა ბაბილინას სარეკლამო ფურცლები, ბაღებს საჩუქრად გადაეცათ ბასტი ბუბუს მუსიკალური დისკები.

საზოგადოებრივი საბჭოები

საზოგადოებრივ მაუწყებელში შეიქმნა საზოგადოებრივი საბჭოები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან საზოგადოების უშუალო მონაწილეობით შეიმუშავონ რეკომენდაციები საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის.

საზოგადოებრივი საბჭოების დაკომპლექტების შემდეგ საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორი და სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარემ გამართეს შეხვედრები თითოეულ საბჭოსთან.

მშობელთა და ბავშთა საბჭო

17 აპრილს შედგა შეხვედრა მშობელთა და ბავშთა საბჭოსთან.

შეხვედრაზე ისაუბრეს, თუ რა ფორმით შეიძლება გაშუქდეს ბავშვებისთვის საინტერესო საკითხები და მათი პრობლემები. სასურველია საბავშვო გადაცემები იყოს შემეცნებითი და საგანმანათლებლო. შეხვედრაზე განიხილეს უნარშეზღუდული ბავშვების ეკრანზე გამოჩენის საკითხი, როგორ შეიძლება მათი გაუცხოების სინდრომის გადალახვა. საბავშვო გადაცემების მისაღებ ფორმატსა და მათ აუცილებლობასთან ერთად, საბჭოს წევრებმა განიხილეს, გადაცემა მშობლებისათვის, რომელიც ბავშვის აღზრდის პრინციპებს შეეხება.

პოლიტიკური საბჭო

2006 წლის 18 აპრილს შედგა შეხვედრა პოლიტიკური საბჭოს წევრებთან, შეხვედრა გაცნობითი ხასიათის იყო.

უნარშეზღუდულ პირთა საბჭო

2006 წლის 20 აპრილს შედგა შეხვედრა უნარშეზღუდულ პირთა საბჭოს წევრებთან. საბჭოს სწევრებმა გამოთქვეს სურვილი, რომ გავიდეს ისეთი გადაცემები, რომლებშიც ასახული იქნება, როგორ ცხოვრობენ უნარშეზღუდული პირები საზღვარგარეთ, რა პრივილეგიებით სარგებლობენ, როგორი პირობებია მათთვის შექმნილი, როგორი აღიქვამს მათ საზოგადოება თანასწორ ადამიანებად. ასევე აღნიშნეს, რომ კარგი იქნება, თუ გაშუქდება იმ არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა, რომლებიც უნარშეზღუდულთა საკითხებზე მუშაობენ.

რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების საბჭოების ერთობლივი შეხვედრა

26 აპრილს საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორი და სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე შეხვდნენ რელიგიური საბჭოსა და ეთნიკური უმცირესობების საბჭოს წევრებს. შეხვედრა გაცნობითი ხასიათის იყო.

საბჭოზე აღინიშნა, რომ ტელევიზიას დიდი როლი მიუძღვის სხვადასხვა რელიგიებისა და ეთნიკური უმცირესობების მიმართ ტოლერანტობის დანერგვაში, მათი დღესასწაულების, ღონისძიებებისა და სხვადასხვა სათვისტომოების ყოფა-ცხოვრების გაშუქებით, მათთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის დახვეწითა და ენობრივი ბარიერის დაძლევით.

გენდერული საბჭო

26 აპრილს შედგა შეხვედრა გენდერული საბჭოს წარმომადგენლებთან. საბჭოს შეხვედრაზე შეთანხმდნენ, რომ განახორციელებენ მონიტორინგს და გენდერულ საკითხებში ჟურნალისტების მიერ ყოველი დარღვევს ფაქტზე მოახდენენ რეაგირებას, ასევე მომავალში მჭიდროდ ითანამშრომლებენ მაუწყებელთან, რათა გენდერთან დაკავშირებული საკითხები სწორად გაშუქდეს.

ახალგაზრდული საბჭო

2006 წლის 9 მაისს, შედგა შეხვედრა ახალგაზრდული საბჭოს წევრებთან. ახალგაზრდული საბჭოს წარმომადგენლებმა გამოთქვეს შემდეგი მოსაზრებები:

- ახალგაზრდებისთვის საინტერესო იქნება საგანმანათლებლო-გასართობი გადაცემები, რომლებიც იქნება ყურებადი და ამავე დროს შემეცნებითი.
- კარგი იქნებოდა, რომ არსებობდეს ახალგაზრდული თოქ-შოუ.
- ახალგაზრდა მაყურებელს იზიდავს შეჯიბრის ელემენტები გადაცემაში.
- ახალგაზრდობას აინტერესებს ფილმები ან გადაცემები თანამედროვე მუსიკაზე.

- ახალგაზრდა მაყურებელთა რიცხვს საგრძნობლად გაზრდის ვებ-მაუწყებლობა, ვინაიდან ახალგაზრდობა უმეტეს დროს კომპიუტერთან ატარებს.

რეგიონული საბჭო

რეგიონული საბჭოს წევრებთან გასაუბრება ტელეფონის საშუალებით მოხდა, მათ გამოთქვეს შემდეგი რეკომენდაციები:

- საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უფრო დიდი დრო უნდა დაუთმოს რეგიონებში მცხოვრები მოზარდების ინტერესებს და რეგიონებში მცხოვრებ მრავალშვილიან ოჯახებს.
- გვთხოვენ, რომ მაუწყებელმა იზრუნოს რეგიონებში მაუწყებლობის ტექნიკურ გამართულობაზე.
- გაიზარდოს რეგიონულ ჟურნალისტთა რიცხვი სხვადასხვა რეგიონებში, განსაკუთრებით ახალციხეში.

საქველმოქმედო საქმიანობა

22 აპრილს, აღდგომის დღესასწაულის აღსანიშნავად, საზოგადოებრივი მაუწყებლის წამყვანები და „ბაბილინა“ ესტუმრნენ „მომავლის სახლის“ აღსაზრდელებს. ჩატარდა ხატვის კონკურსი, ბავშვებმა აღდგომის თემაზე შეასრულეს ნახატები, გამარჯვებულებს გადაეცათ სხვადასხვა პრიზები, მაგნიტოფონი, რადიო, ფოტოაპარატი, წიგნი. ყველას დაურიგდა ტკბილეულობა, სააღდგომო შეღებილი კვერცხები და პასკები.

24 მაისს საზოგადოებრივი მაუწყებლის წამყვანებმა მონაწილეობა მიიღეს პაატა ბურჭულაძის ფონდ „იანანა“-ს მიერ ორგანიზებულ საქველმოქმედო კონცერტში, სადაც ნინო ჭანტურაიამ და ლაშა ხარაზიშვილმა მოახდინეს საზოგადოებრივი მაუწყებლის საქველმოქმედო საქმიანობის პრეზენტაცია. “მომავლის სახლის” აღსაზრდელებს, რომლებიც მინანქრის ნამუშევრებს ამზადებენ, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მინანქრის გამოსაწვავი ღუმელი აჩუქა.

საქართველოს რადიოს 81 წლის იუბილე

23 მაისს საზოგადოებრივ მაუწყებელში გაიმართა საზეიმო მიღება რადიოს 81 წლისთავთან დაკავშირებით, მოწვეული იყვნენ ყოფილი წამყვანები: თინათინ ელბაქიძე, რეზო თავართქილაძე, ჟანეტა არჩვაძე, ლამარა კიკალიშვილი, ჯემალ სეფიაშვილი, მედეა ჩახავა და სხვები, მათ და რადიოს ახლანდელ თანამშრომლებს გადაეცათ ფულადი პრემიები და საჩუქრები. ამავე დღესთან დაკავშირებით მაუწყებლის შენობაში შეიქმნა რადიოს ისტორიის ამსახველი ფოტო-გამოფენა.

ექსკურსია საზოგადოებრივ მაუწყებელში

30 მაისს თბილისის საერთაშორისო სკოლის პირველი და მეორე კლასის მოსწავლეებისთვის საზოგადოებრივ მაუწყებელში მოეწყო ექსკურსია. მოსწავლეები აღვილზე გაეცვინენ, თუ როგორ ხდება ახალი ამბების მომზადება,

დამონტაჟება და ეთერში გაშვება, იხილეს ტექნიკური და ვიზუალური აღჭურვილობა, დაათვალიერეს სტუდიები.

აქცია მზიურში ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა და საინიციატივო ჯგუფმა „ჩვენ ვხედავთ მზეს“ 1 ივნისს მზიურში მოაწყო სადღესასწაულო აქცია, რომელსაც ხალხის დიდი რაოდენობა დაესწრო. აქციისათვის მაუწყებელმა დაამზადა პრომო, აქციას დესწრნენ მაუწყებლის წამყვანები შვილებით, გაიმართა ბაბილინასა და ბასტი-ბუბუს კონცერტი და დარიგდა საზოგადოებრივი მაუწყებლის სარეკლამო ფურცლები.

საზოგადოებრივი მაუწყებლის სტენდი წიგნების გამოფენაზე

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ყოველწლიურ წიგნების ფესტივალზე, გაიტანა მაუწყებლის სტენდი, სადაც გამოფენილი იყო მაუწყებლის ახალი პროდუქცია: საუკუნის პორტრეტები: „გალაკტიონი“, „გუდიაშვილი“, „ეროსი“, ასევე „ქართული ხალხური ზღაპრები“ და „ვაჟა-ფშაველას ზღაპრები“.

სომხური რედაქციის სიუჟეტი

2004 წლის აგვისტოში, ვართაზარ ეგიაზარიანი ჩაქვის სანაპირო ზოლის გასწვრივ, ნაღმზე აფეთქდა, რის შედეგადაც ორივე ფეხის ამპუტაცია დასჭირდა. 2006 წლის თებერვალში, მან სიუჟეტის მომზადება სთხოვა საზოგადოებრივი მაუწყებლის სომხურ რედაქციას. 8 მარტს გადაიკა სიუჟეტი ეგიაზარიანის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების საჭიროების თაობაზე. საქართველოში სომხური ეკლესიის ეპარქიამ აღნიშნული სიუჟეტი საიტის მეშვეობით გაავრცელა. იტალიის სომხურმა დიასპორამ მასალები გადაუზავნა ვატიკანს. ვართაზარ ეგიაზარიანს ვატიკანი ოპერაციის ხარჯების ანაზღაურებაში დაეხმარება. ვართაზარ ეგიაზარიანი მადლობას უხდის საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობას დახმარებისათვის.

კვლევა

კვლევისა და ანალიზის განყოფილებამ სატელეფონო გამოკითხვები ჩაატარა, რომლის მიხედვითაც, 9 ივნისიდან ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის პერიოდში, I არხის სარეიტინგო მაჩვენებლები შეიცვალა.

საზოგადოებრივი მაუწყებელი, “რუსთავი 2”-თან ერთად, მაყურებლებს სთავაზობს ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის პირდაპირ რეპორტაჟებს და ჩემპიონატისადმი მიძღვნილ საგანგებო გადაცემებს -"არენა".

მაყურებელთა აქტივობა გაზარდა I არხის მიერ შეთავაზებულმა სპორტულმა ვიქტორინამ, რომელშიც ასობით სპორტის მოყვარული მონაწილეობს. ისინი არა მარტო აგზავნიან პასუხებს ვიქტორინის შეკითხვებზე, არამედ ხშირად ტელეფონითაც გვიკავშირდებიან და დამატებით ინფორმაციას ითხოვენ, რათა არ გამორჩეთ “არენის “ გამოშვება.

ჩემპიონატის მატჩების რეპორტაჟები გადანაწილებული აქვთ რუსთავი2-ს და I არხს. იმის გამო, რომ მეოთხედფინალებამდე მატჩები, ყოველდღიურად იმართებოდა, ფეხბურთის მოყვარულები და საერთოდ ტელემაყურებლებიც ძირითადად ამ ორ მაუწყებელს ჰყავდა გადანაწილებული. აქედან გამომდინარე ბუნებრივია, რომ მაყურებელთა რაოდენობამ ამ პერიოდში საგრძნობლად მოიმატა. არხის წილი, რომელიც სხვა დროს, სიდიდით მესამე მაჩვენებელი იყო - ამჯერად უკვე მეორეა.(26.06.2006- 02.07.2006)

არხი	წილი
რუსთავი2	33.2%
I არხი	25.19%
იმედი	23.9%
მზე	3.4%
I სტერეო	1.1%
202	1.0%
მაესტრო-ევრიკა	0.8%

ცალკე აღნიშვნის ღირსია გადაცემები, რომლებსაც საზოგადოებრივი მაუწყებელი არასაფეხბურთო დღეებში სთავაზობს მაყურებლებს. საფეხბურთო თემისადმი ინტერესი ძალიან დიდია და როცა გერმანიაში მატჩები არ იმართება, ანუ, ჩემპიონატზე დასვენების დღეებია, I არხზე ნაჩვენები სპორტული გადაცემები და დოკუმენტური ფილმები მოწონებას იმსახურებს.

ქვეჯგუფებში გამართული ბევრი საიტერესო მატჩიდან ფეხბურთის მოყვარულთა და საერთოდ ტელემაყურებლების ყურადღების ცენტრში იყო თამაშები ჩემპიონატის მასპინძლის-გერმანიის ნაკრების მონაწილეობით. ყველაზე დიდი აუდიტორია კი ჰყავდა 27 ივნისს გამართულ მერვედფინალურ მატჩს ესპანეთისა და საფრანგეთის ნაკრებებს შორის, რომლის საშუალო რეიტინგმა 28.4%- შეადგინა

საკადრო პოლიტიკა

სტრუქტურული ცვლილებანი

2006 წლის 1 მაისიდან ტექნიკურ დეპარტამენტში მოხდა ცვლილება, კერძოდ დამტკიცდა:

1. რადიომაუწყებლობის სამსახურის და
2. მოძრავი სატელევიზიო სადგურისა და გარე ჩართვების სამსახურის ახალი სტრუქტურა.

აღნიშნული სამსახურების ქვესტრუქტურები ჩამოყალიბებულია ჯგუფების და სტუდიების სახით. კერძოდ:

1. რადიომაუწყებლობის სამსახური:
 - ცენტრალური სააპარატო
 - სტუდიების განყოფილება
 - საეთერო სტუდია
 - ხმის ჩამწერი სტუდია
2. მოძრავი სატელევიზიო სადგურისა და გარე ჩართვების სამსახური:
 - მობილური ჩართვების ჯგუფი (თბილისი)
 - მობილური ჩართვების ჯგუფი (რეგიონები)
 - პარლამენტის ტრანსლაციის ჯგუფი
 - მოძრავი სატელევიზიო სადგურის და სარელო კავშირის ჯგუფი
 - მობილური სატელევიზიო გადაცემის ჯგუფი
 - სატელევიზიო სიგნალების მიმღები ჯგუფი

ტესტირება და ატესტაცია

შემუშავდა საზოგადოებრივი მაუწყებლის სხვადასხვა დეპარტამენტის თანამშრომელთა ტესტირების განრიგი, რომელიც ცხრილის სახითაა დართული. 25, 26 და 27 ივნისს უკვე ჩატარდა ტექნიკური დეპარტამენტის რადიომაუწყებლობის სამსახურის ხმის რეჟისორთა ატესტაცია ხმის კომპიუტერულ არახაზოვან მონტაჟში პრაქტიკული გამოცდის საშუალებით. თითოეული აპლიკანტი ვალდებული იყო, შეესრულებინა საინფორმაციო სიუჟეტის მონტაჟი. გამოცდა ჩააბარა აღნიშნული სამსახურის ყველა ხმის რეჟისორმა, გარდა ერთისა, რომელიც საერთოდ არ გამოცხადდა. გამოცდის შეფასება მოხდა 5 ბალიანი სისტემით. მათ, ვინც მიიღო 5 და 4 ქულა, 1 აგვისტოდან გაუფორმდებათ ერთწლიანი კონტრაქტები და გაეზრდებათ ხელფასები, ხოლო მათ, ვინც 3 ქულა მიიღო, დაენიშნებათ დამატებითი გამოცდა.

შიდა ტესტირებანი საზოგადოებაში

				ივნისი	ივლისი	აგვისტო
დეპარტამენტი	სამსახური/ ჯგუფი	მთავარი	სხვები	7	8	9
ფინანსური	საბიუჯეტო განყოფილება	დირექტორი	კომისია			
	ბუღალტერია	დირექტორი	კომისია			
იურიდიული	იურიდიული	დირექტორი	კომისია			
კანცელარია	კანცელარია	უფროსი	კომისია			
ადამიანური რესურსები	ადამიანური რესურსები	უფროსი	კომისია			
ტიქნიკური	რადიომაუწყებლობის სამსახური	დირექტორი	კომისია			
	სამონტაჟო ბლოკი (ავიდი)	დირექტორი	კომისია			
	ცენტრალური სამონტაჟო ბლოკი	დირექტორი	კომისია			

კომერციული საქმიანობა

საზოგადოებრივი მაუწყებლის პროდუქცია

აპრილის თვეში საზოგადოებრივი მაუწყებლის მასალების საფუძველზე შემუშავდა შემდეგი სახის პროდუქცია :

“საუკუნის პორტრეტები” DVD დისკებზე

“საუკუნის პორტრეტების” პოპულარიზაციისა და კომერციული შემოსავლების მობილიზების მიზნით მოხდა სამი ფილმის გამოცემა DVD დისკებზე.

გალაქტიონ ტაბიძე	800 დისკი
ეროსი მანჯგალაძე	600 დისკი
ლადო გუდიაშვილი	600 დისკი

ზღაპრების აუდიო ჩანაწერები

არქივის მასალების გამოყენებით გამოვუშვეთ ორი საბავშვო კრებული. პირველი შეიცავს 6 ქართული ხალხური ზღაპრის აუდიო ჩანაწერს, მეორე – 2 რადიოდადგმას ვაჟა ფშაველას ზღაპრების მიხედვით, რომელშიც მონაწილეობას იღებენ XX საუკუნის ცნობილი მსახიობები და მოღვაწეები. ზღაპრები გამოიცემა ორი სახის მატარებელზე: აუდიო კასეტებსა და კომპაქტურ დისკებზე შემდეგი რაოდენობებით :

ქართული ხალხური ზღაპრები :
1000 კომპაქტური დისკი
1000 აუდიო კასეტა

ვაჟა-ფშაველას ზღაპრები :
1000 კომპაქტური დისკი
1000 აუდიო კასეტა

მაისის თვეში მოხდა საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი პროდუქციის გატანა წიგნის ფესტივალზე. თბილისის ყოველწლიურ წიგნების ფესტივალზე მოეწყო საზოგადოებრივი მაუწყებლის სტენდი, სადაც 25-დან 28 მაისის ჩათვლით გამოფენის ყველა სტუმარს შეეძლო ენახა და შეეძინა “საუკუნის პორტრეტები” DVD დისკებზე და ზღაპრების ნაკრებები კომპაქტ დისკებსა და აუდიო კასეტებზე. აღნიშნულმა პროდუქციამ საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა და გამოფენაზე პროდუქციის შედეგად მიღებულმა შემოსავალმა 591 ლარი შეადგინა.

ამის გარდა, გამოფენის განმავლობაში შედგა მოლაპარაკება თბილისის წამყვანი წიგნების მაღაზიებთან საზოგადოებრივი მაუწყებლის პროდუქციის რეალიზაციის შესახებ. ივნისის თვის პირველ რიცხვებში საზოგადოებრივი მაუწყებლის პროდუქცია გავიდა სარეალიზაციო ქსელში. დღესდღეობით ამ ინდუსტრიაში არააქტიური პერიოდის მიუხედავად, პროდუქცია საკმაოდ კარგად იყიდება. ეს განპირობებულია როგორც საზოგადოებრივ არსზე გასული რეკლამით, აგრეთვე ვიზუალური რეკლამით, რომელიც განთავსებულია უშუალოდ იმ მაღაზიებში, სადაც შესაძლებელია ამ პროდუქციის შექენა.

იგეგმება საზოგადოებრივი მაუწყებლის პროდუქციის გატანა საქართველოს რეგიონებშიც.

არქივის კომერციული საქმიანობის რეორგანიზაცია

მაისის თვეში მოხდა არქივის კომერციული საქმიანობის რეორგანიზაცია. პირველ რიგში შემუშავდა ახალი სატარიფო პოლიტიკა. ტარიფების ახალ სისტემაში მასალის ღირებულება დამოკიდებულია მის ისტორიულ ღირებულებაზე და იმაზე, თუ რა მიზნით გამოიყენებს მას მომხმარებელი (კომერციული თუ არაკომერციული). მასალის წარმოშობის წლის და გამოყენების მიზნის მიხედვით შეირჩა კატეგორიები და თითოეულს მიენიჭა თავისი კოეფიციენტი. მასალის საბოლოო ღირებულება მიიღება ამ მასალის შესაბამისი კოეფიციენტების გადამრავლებით საბაზო ფასზე (საბაზო ფასი = 1 ლარი 1 წუთი მასალისათვის).

განისაზღვრა ახალი სისტემის შესაბამისი პროცედურები: არქივის კოორდინატორს დაევადა საარქივო მასალებში დაინტერესებული პირების მომსახურება. დღეისათვის ახალი სისტემა გამართულად მუშაობს.

		აპრილი	მაისი	ივნისი
SMS	მაგთი	23,76	56,23	351,648
	ჯეოსელი	13,20	35,86	337,48
რეკლამა	ტელერეკლამა	4545,29	6884,44	178521,35
	რადიო რეკლამა	1564,35	440,64	309,75
	ბარტერი	992,03	n/a	8961,51
იჯარა		2670,85	40391,98	7711,00
არქივი		n/a	495,30	710,47
პროდუქციის რეალიზაცია		n/a	n/a	590,00
სულ :		9 809,48	48 304,45	197 141,56

საერთაშორისო ურთიერთობები

გრძელდება საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლობა ევროპის მაუწყებელთა კავშირთან (EBU) ინფორმაციის გაცვლისა და კონსულტაციის მიღების თვალსაზრისით. მასთან აქტიურად ვმუშაობთ შემდეგ პროექტებზე:

- PressNow-თან: უმცირესობების პროგრამირების შესახებ
- OSCE და OSI: საინფორმაციო სამსახურის და არხის პროგრამული განვითარებისათვის მუდმივი კონსულტანტის მოწვევა. შედგა 2 ვიზიტი.
- EBU-სთან: დოკუმენტური ფილმების თანაწარმოება: Grassroots, Memorial IV, Panorama Europe, და სხვა.
- მიმდინარეობს მოლაპარაკება განათლების სამინისტროსთან და სხვადასხვა ქვეყნის საელჩოებთან ახალი სატელევიზიო პროექტის “მომავლის ელჩის” ფაგლებში თანამშრომლობაზე.
- მიმდინარეობს მოლაპარაკება ბრიტანეთის საბჭოსთან ინგლისური ენის შემსწავლელი ახალი საბავშვო გადაცემის ერთობლივად მომზადების კუთხით.
- მიმდინარეობს მოლაპარაკება ბრიტანეთის საელჩოსთან ტელევიზიაში საგამოძიებო ჟურნალისტიკის ტრენინგ კურსის ჩასატარებლად ექსპერტის მოწვევის კუთხით.

ო ნ შ ო რ მ ა ც ი ა

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2006 წლის 6 თვის შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ

შესავალი

“მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის 76-ე მუხლის 21-ე პუნქტის შესაბამისად, საზოგადოებრივი მაუწყებლობის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტი. დაფინანსების ოდენობა განისაზღვრება მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულების არანაკლებ 0.15%-ის ოდენობით. ამასთან, მთლიან შიდა პროდუქტთან დაკავშირებით სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური მონაცემებით, 2005 წლის მშპ-ს ფაქტიურმა ოდენობამ შეადგინა 11 592 მლნ ლარი. შესაბამისად, წლიური 6-7%-იანი ზრდის პირობებში 2006 წლის მშპ-ს პროგნოზი შეადგენს 12 287 – 12 403 მლნ ლარს, რომლის 0.15% შეადგენს 18 430 – 18 604 ათას ლარს. მიუხედავად ამისა, “საქართველოს 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებელი”-ს დაფინანსებისათვის გათვალისწინებულია 16 500 ათასი ლარის გამოყოფა, რაც “მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მინიმალურ მაჩვენებელზე 1 930 – 2 104 ათასი ლარით ნაკლებია.

ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრების ხარჯვას მაუწყებელი ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ანგარიშიდან. სახაზინო სამსახური, “სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების კონტროლი ვალდებულებისა და დამოწმების მეშვეობით” ინსტრუქციის საფუძველზე, ახორციელებს აღნიშნული სახსრების ხარჯვაზე ფინანსურ კონტროლს. ასევე, “საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ” და “საზოგადოებრივი მაუწყებლის” შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე მაუწყებელს გახსნილი აქვს ანგარიში კომერციულ ბანკში (ბანკი “რესპუბლიკა”), რომელზეც ხორციელდება მაუწყებლის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების აკუმულირება და მისი ხარჯვა. ამასთან, საბიუჯეტო და ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული სახსრების ხარჯვას მაუწყებელი ახორციელებს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

1. 6 თვეში გაწეული ხარჯები

მიმდინარე წლის 6 თვეში სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებელი”-ს მიერ გაწეული ხარჯების საერთო ოდენობამ შეადგინა 9 068 ათასი ლარი. მათ შორის, საბიუჯეტო სახსრებიდან გაწეული ხარჯების ოდენობამ შეადგინა 8 550,8 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან გაწეული ხარჯების ოდენობამ შეადგინა 517,2 ათასი ლარი. მათ შორის:

შრომის ანაზღაურება

მიმდინარე წლის იანვარ-ივნისში მაუწყებლის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 2 896 ათასი ლარი, დამჭირავებლის სოციალურ გადასახადზე მიიმართა 578,5 ათასი ლარი, სულ – 3 474,5 ათასი ლარი, რაც იანვარ-ივნისში გაწეული საერთო ხარჯების 38,3%-ს შეადგენს. მათ შორის, საბიუჯეტო სახსრებიდან მიიმართა 3 463,3 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან მიიმართა 11,2 ათასი ლარი. აღნიშნული ხარჯებით სრულად იქნა

დაფარული მაუწყებლის თანამშრომელთა 2006 წლის იანვარ-ივნისის ხელფასები.

მივლინებები

მივლინებებზე მიმდინარე წლის იანვარ-ივნისში გაწეული ხარჯების საერთო ოდენობა შეადგენს 289,2 ათას ლარს. მათ შორის, საბიუჯეტო სახსრებიდან გაწეული ხარჯების ოდენობა შეადგენს 80,1 ათას ლარს, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან – 209,1 ათას ლარს. აღნიშნული სახსრები მიიმართა შიდა და საგარეო მივლინებების დაფინანსებისათვის. აღსანიშნავია, რომ სამივლინებო ხარჯების უმეტესი ნაწილი დაფარულია არა საბიუჯეტო, არამედ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებიდან.

ოფისის ხარჯები

ოფისის ხარჯებზე მიმდინარე წლის იანვარ-ივნისში გაწეულია 284,9 ათასი ლარი, რაც მაუწყებლის 6 თვის საერთო ხარჯების 3.1%-ს შეადგენს. მათ შორის, საბიუჯეტო სახსრებიდან დაიხარჯა 199,7 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან – 85,2 ათასი ლარი. აღნიშნული ხარჯების დიდი წილი მოდის შემდეგ ხარჯებზე: ადმინისტრაციული შენობისა და მიმდებარე პერიმეტრის დაცვის მომსახურება – 75.5 ათასი ლარი, მაუწყებლის შენობაზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ ჩატარებული სეისმური კვლევის საფასური – 16.5 ათასი ლარი, გაზეთ “24 საათში” სატენდერო განცხადებების გამოქვეყნება - 5.4 ათასი ლარი, 44.8 ათასი ლარი მიიმართა სამეურნეო და სპეცნათურების შექმნაზე, 7.9 ათასი ლარი - კაბელების შესყიდვაზე, 8 ათასი ლარი – ინტერნეტის მომსახურებაზე, და ა. შ.

კომუნალური ხარჯები

კომუნალურ ხარჯებზე მიმდინარე წლის იანვარ-ივნისში მიიმართა 193.8 ათასი ლარი. მათ შორის, მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურმა შეადგინა 134.4 ათასი ლარი, მოხმარებული წყლის საფასურმა შეადგინა 55.9 ათასი ლარი, სხვა კომუნალურ ხარჯებზე მიიმართა 3.6 ათასი ლარი.

საკომუნიკაციო ხარჯები

მაუწყებლის მიერ მიმდინარე წლის იანვარ-ივნისში საკომუნიკაციო ხარჯებზე სულ მიიმართა 841 ათასი ლარი. მათ შორის, საბიუჯეტო სახსრებიდან მიიმართა 834.9 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან – 6.1 ათასი ლარი. აღნიშნული სახსრებიდან სატელეფონო მომსახურებაზე მიიმართა 126.7 ათასი ლარი, სატელიტის მომსახურებაზე მიიმართა – 171.5 ათასი ლარი. ასევე, შპს “ტელერადიოცენტრს” გადაერიცხა მომსახურების საფასური – 450 ათასი ლარი, საქართველოს ელექტროკავშირი – 75 ათასი ლარი.

ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები

აღნიშნული ხაზით მიმდინარე წლის იანვარ-ივნისში გაწეული ხარჯები შეადგენს 126.5 ათას ლარს. აქედან, საბიუჯეტო სახსრებიდან გაწეული ხარჯები შეადგენს 113,6 ათას ლარს, ეკონომიკური საქმიანობიდან გაწეული ხარჯები შეადგენს – 13 ათას ლარს. მათ შორის, საწვავის შექმნაზე დაიხარჯა 86.9 ათასი ლარი, “ფლაივის” აპარატურის ტრანსპორტირებისათვის მანქანის შექმნაზე და მის აღჭურვაზე დაიხარჯა 20.3 ათასი ლარი, ავტომობილების დაზღვევაზე მიიმართა 6.6 ათასი ლარი, ხოლო ავტომობილების სათადარიგო ნაწილების შექმნაზე – 12.7 ათასი ლარი.

მხატვრული, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმებისა და სერიალების შექმნა და თარგმნა-გახმოვანება

აღნიშნული ხაზით იანვარ-ივნისში სულ გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 1 106.7 ათას ლარს. აქედან, საბიუჯეტო სახსრებიდან გაწეული ხარჯების ოდენობა შეადგენს 1 104.9 ათას ლარს. მათ შორის, სატელევიზიო თარგმნა-გახმოვანების ხარჯებზე მიიმართა 295.2 ათასი ლარი, ფილმების შექმნაზე და ლიცენზიებზე – 811.5 ათასი ლარი.

სპორტული ღონისძიებები

მაუწყებლის მიერ მიმდინარე წლის იანვარ-ივნისში სპორტული ღონისძიებების დასაფინანსებლად მიიმართა 719,6 ათასი ლარი. მათ შორის, საბიუჯეტო სახსრებიდან მიიმართა – 708.1 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან – 11.5 ათასი ლარი. აქედან – 47.9 ათასი ლარი მიიმართა ფორმულა 1-ის ლიცენზიის ხარჯებზე, 514.3 ათასი ლარი – 2006 წლის ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის ჩვენების უფლების ხარჯებზე, 151 ათასი ლარი მიიმართა ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის სიგნალის მოწოდების ტექნიკური ხარჯის დასაფინანსებლად.

მარკეტინგის ხარჯები

მარკეტინგის ხარჯებზე მიმდინარე წლის 6 თვეში სულ დახარჯულია 65.4 ათასი ლარი. მათ შორის, 63,9 ათასი მიიმართა ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებიდან. აღნიშნული ხარჯებიდან 10,2 ათასი ლარი მიიმართა მაუწყებლის დოკუმენტური ფილმების (საუკუნის პორტრეტების) და ქართული ზღაპრების დისკების დამზადებისათვის, ხოლო 54.4 ათასი ლარი მიიმართა თვითრეკლამის ხარჯებზე.

ტექნიკისა და მაკოპლექტებელი მასალების შექმნის ხარჯები

მიმდინარე წლის იანვარ-ივნისში აღნიშნული მუხლით გაწეული იქნა 1 129.7 ათასი ლარის ხარჯი. მათ შორის, საბიუჯეტო სახსრებიდან – 1 092.6 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან – 37.1 ათასი ლარი.

მიმდინარე წელს მაუწყებლის მიერ ტექნიკის ხაზით გაწეული ხარჯებით დაიწყო ტექნიკური გადაიარაღების პროცესი, რაც ითვალისწინებს მაუწყებლობაში თანამედროვე ტექნოლოგიებისა და აპარატურის დანერგვას. კერძოდ, წლის პირველ ნახევარში ტექნიკის ხაზით გამოყოფილი თანხები მიიმართა სასტუდიო და გარე გადაღების ვიდეოკამერების პარკის განახლებაზე (მათ შორის, ციფრული ვიდეო და აუდიო კამერები), შექმნილი იქნა გრაფიკული სამონტაჟო სადგური, ცენტრალური სააპარატო, ციფრული ვიდეომანეიტაფონები, აუდიო და ვიდეო მიქშერები, მიმდინარეობს AVID- ის სისტემის დანერგვა, შექმნილი იქნა სხვადასხვა სასტუდიო აპარატურა, განათების სისტემები და ა.შ.

სატელევიზიო პროგრამები და რადიოგადაცემები

სატელევიზიო (მათ შორის, საბავშვო პროგრამები) პროგრამებისა და რადიოგადაცემების ხაზით საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების საერთო ოდენობა შეადგენს 124.5 ათას ლარს. მათ შორის, საბიუჯეტო სახსრებიდან – 118.1 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან – 6.4 ათასი ლარი.

ინფორმაციის შექმნისა და მიღების ხარჯები

ინფორმაციის შექმნისა და მიღების ხარჯებზე იანვარ-ივნისში მიიმართა 298 ათასი ლარი. მათ შორის, საინფორმაციო სააგენტოებს ჩაერიცხათ 59,8 ათასი ლარი, ხოლო ინფორმაციების გადმოგორების სატელეკომუნიკაციო

მომსახურების ხარჯებმა შეადგინა – 238,2 ათასი ლარი. აქედან, EBU-ს სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე მიიმართა 190.5 ათასი ლარი.

სასტუდიო დეკორაციების, ინვენტარის და სარემონტო სამუშაოების ხარჯები

ამ დანიშნულებით საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების საერთო ოდენობა შეადგენს 83,7 ათასი ლარი. მათ შორის, არქივის ოთახის შეკეთებაზე დაიხარჯა 12 ათასი ლარი, სტუდიების მოწყობაზე მიიმართა 55,4 ათასი ლარი.

იურიდიული და საკონსულტაციო მომსახურება

იურიდიული და საკონსულტაციო მომსახურებაზე იანვარ-ივნისში მიიმართა 35,2 ათასი ლარი. მათ შორის, 17,1 ათასი ლარი მიიმართა ძირითადი საშუალებების შეფასებასა და ინვენტარიზაციაზე, ხოლო 18 ათასი ლარი – 2005 წლის წლიური საფინანსო აუდიტის ჩატარებაზე.

სხვადასხვა ხარჯები

ზემოაღნიშნული კატეგორიების გარდა საანგარიშო პერიოდში განბაჟებასთან დაკავშირებულ ხარჯებზე მიიმართა 23.3 ათასი ლარი, წინა პერიოდის დავალიანებათა დაფარვაზე მიიმართა 254,3 ათასი ლარი, სხვადასხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები – 17,3 ათასი ლარი.

2. ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები და ფულადი ნაშთები

საწყისი ნაშთი

2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მაუწყებელს საბანკო ანგარიშზე ნაშთის სახით ერიცხებოდა 993.86 ლარი.

შემოსავლები

მაუწყებლის მიერ 2006 წლის 1 ივლისამდე გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით მიმდინარე წლის განმავლობაში ეკონომიკური საქმიანობიდან მისაღები შემოსავლების ოდენობა შეადგენს 1 180 ათას ლარს, რაც შემოსავლების რეალურ ზრდაზე მიუთითებს. აქედან, საპროგნოზო მანქვენებლების მიხედვით მიმდინარე წლის იანვარ-ივნისში მაუწყებელს უნდა მიეღო 828,8 ათასი ლარი. ამასთან, საანგარიშო პერიოდში რეალურად მიღებული იქნა 657,4 ათასი ლარი (დანართი №3), რაც დაგეგმილი ოდენობის 79,3%-ს შეადგენს. მათ შორის, იჯარიდან მიღებული იქნა 48,4 ათასი ლარი, უფლების გადაცემიდან – 168,6 ათასი ლარი, რეკლამიდან – 290,2 ათასი ლარი, გრანტის სახით – 15 ათასი ლარი, მომსახურებიდან (ამერიკის ხმა) მიღებულმა მიმდინარე შემოსავალმა შეადგინა 56,4 ათასი ლარი, დებიტორული ვალების დაფარვა – 53,1 ათასი ლარი, სხვა დანარჩენმა შემოსავლებმა შეადგინა 24 ათასი ლარი. ასევე, ვინაიდან შესაბამისი სამუშაოები განხორციელდა ნატურის სახით და ზემოაღნიშნულ თანხებში ჩართული არ არის, ცალკე უნდა გამოიყოს ფონდ “ALPE”-სთან გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც აღნიშნულმა ორგანიზაციამ მოახდინა მაუწყებლისათვის სატელევიზიო სტუდიის დეკორაციების რეკონსტრუქცია და დამზადება საერთო თანხით 12.4 ათასი აშშ დოლარი, ასევე უსასყიდლოდ გადასცა მაუწყებელს სტუდიისათვის პლაზმური ტელევიზორი.

მთლიანობაში, მაუწყებლის საერთო ბიუჯეტში არსებული დეფიციტის მიუხედავად, ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ხარჯვაზე

მკაცრი კონტროლის დაწესების გამო, იანვარ-ივნისში მაუწყებელს ფულად სახსრებზე საკასო დეფიციტი არ შექმნია.

ფულადი ნაშთი პერიოდის ბოლოს

ზემოაღნიშნული ხარჯების გაწევის შემდეგ მაუწყებელს 2006 წლის 1 ივლისის მდგომარეობით საბანკო ანგარიშზე დარჩა შემდეგი ფულადი ნაშთები: 132 169 ლარი, 564 აშშ დოლარი და 2 560 ევრო. აღნიშნული სახსრები მიმართული იქნება მომდევნო პერიოდის ხარჯების დაფინანსებაზე.

3. წინა პერიოდის დავალიანებათა დაფარვა

2006 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით მაუწყებელს ბალანსზე ერიცხებოდა წინა პერიოდის კრედიტორული დავალიანებები საერთო თანხით – 15 653 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის:

- ეკონომიკური საქმიანობიდან – 2.9 ათასი ლარი;
- საბიუჯეტო სახსრებიდან – 6 011.6 ათასი ლარი;
- რეკლამა-ბარტერის ოპერაციებიდან – 307.5 ათასი ლარი;
- ბიუჯეტის მიმართ საგადასახადო დავალიანებები – 9 187.7 ათასი ლარი (მათ შორის, რესტრუქტურისებულია 8 879.1 ათასი ლარი);
- სახელფასო დავალიანება- 143.1 ათასი ლარი.

მაუწყებლის ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით 2006 წლის იანვარ-აპრილში განხორციელდა მხოლოდ გადაუდებელი დავალიანებების დაფარვა, მეტად შეზღუდული ოდენობით. კერძოდ, მიმდინარე წლის მაუწყებლის მიერ წინა პერიოდის დავალიანებათა დაფარვაზე მიიმართა 282.6 ათასი ლარი.

მათ შორის:

250 ათასი ლარი მიიმართა რესტრუქტურისაციის შემდგომ პერიოდში (მაუწყებლის საბიუჯეტო გადასახადების რესტრუქტურისაცია განხორციელდა 2004 წლის ოქტომბერში) საბიუჯეტო გადასახადების ხაზით დაგროვილი დავალიანებების დასაფარავად. აქედან, 177.8 ათასი ლარი მიიმართა სოციალური გადასახადის ხაზით არსებული დავალიანების სრულად დასაფარავად, ხოლო 72.2 ათასი ლარი მიიმართა საშემოსავლო გადასახადის ხაზით რიცხული დავალიანების ნაწილობრივ დასაფარავად. აღნიშნული დავალიანების გადახდის შედეგად შეჩერდა მაუწყებელზე საგადასახადო ინსპექციის მიერ საურავების დარიცხვა. ასევე, 20.9 ათასი ლარი მიიმართა 2005 წლის დეკემბერში მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის დაფარვაზე, 7.3 ათასი ლარი მიიმართა ტელეკომპანია “MIR”-ის 2005 წლის ოქტომბრის დავალიანების დაფარვაზე, სხვა დავალიანების დაფარვაზე მიიმართა 4.4 ათასი ლარი.

ამდენად, 1 ივლისის მდგომარეობით 2006 წლის პირველ იანვრამდე პერიოდის დარჩენილი დავალიანებები შეადგენს 15 370.4 ათას ლარს. აღნიშნულ დავალიანებებთან დაკავშირებით მაუწყებელი აწარმოებს სამუშაოებს, რათა დაზუსტდეს წინა პერიოდის დავალიანებათა რეალური ოდენობები.

4. ფინანსური აღრიცხვიანობის მოწესრიგების კუთხით და გარე აუდიტის რეკომენდაციების შესაბამისად გატარებული ღონისძიებები

სახელფასო პროექტი

მიმდინარე წლის დასაწყისში მაუწყებლის მიერ კონკურსის წესით შერჩეული იქნა TBC-ბანკი, რომელთან ერთადაც განხორციელდა თანამშრომელთა

სახელფასო პროექტი. პროექტი ითვალისწინებს ხელფასების გაცემას პლასტიკური ბარათების მეშვეობით. შესაბამისად, არ გამოიყენება ხელფასების საღარიფო გაცემის პრაქტიკა. პლასტიკურმა ბარათმა მივლინების თანხების ანაზღაურებაც უფრო მოსახერხებელი გახდა.

ბუღალტრული აღრიცხვის წესები

2006 წლის პირველ კვარტალში მაუწყებელი გადავიდა ბუღალტრული აღრიცხვის ახალ წესებზე. კერძოდ, 2006 წლის 1 იანვრიდან მაუწყებლის მიერ ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება ხორციელდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 27 დეკემბრის №1278 ბრძანებით დამტკიცებული “საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესახებ” ინსტრუქციის შესაბამისად.

ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების პროგრამული უზრუნველყოფა

მაუწყებლის მიერ 2005 წლის მეოთხე კვარტალში დაიწყო და 2006 წლის პირველი კვარტლის ბოლოსათვის დასრულდა ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამა „ORIS“-ის დანერგვა. აღნიშნული პროგრამის დანერგვამ მნიშვნელოვნად მოაწესრიგა აღრიცხვიანობა და ხელი შეუწყო ფინანსური წესრიგის განმტკიცებას, რაც აღრიცხვიანობის მოწესრიგების კუთხით წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს.

ინვენტარიზაციის ღონისძიებები

მაუწყებლის მიერ დასრულდა ყოფილი “ქართული ტელევიზიის” შემობაში არსებული საშუალებების საინვენტარიზაციო სამუშაოები და შესაბამისი მასალები გადაგზავნილია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში. რაც შეეხება მაუწყებლის სარგებლობაში არსებული სხვა საშუალებების ინვენტარიზაციას, აღნიშნულ სამუშაოებს მაუწყებელი ახორციელებს კერძო აუდიტური კომპანიის მონაწილეობით, რომელთა მიერ სამუშაოების წარმოება დასრულების სტადიაშია და საბოლოო შედეგები მომზადებული იქნება 2006 წლის ივლისის ბოლომდე.

ქონების გადმოცემის საკითხი

“მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის საფუძველზე შპს “ტელერადიოცენტრის” ბალანსზე რიცხული იმ საშუალებების საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის გადაცემა, რომელიც ემსახურება მხოლოდ საზოგადოებრივი მაუწყებლის სატელევიზიო და რადიოპროგრამების გავრცელებას, ჯერჯერობით დასრულებული არ არის.

დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების ინვენტარიზაცია

მაუწყებლის მიერ შექმნილია მის ბალანსზე რიცხული დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების ინვენტარიზაციის კომისია, რომელმაც მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაატარა დავალიანებათა ნაშთების რეალობის დადგენისათვის. საინვენტარიზაციო სამუშაოებმა აჩვენა, რომ დავალიანებათა უმეტესი ნაწილი წარმოქმნილია 2003 წლამდე. ინვენტარიზაციის კომისიის დასკვნა და საბოლოო შედეგები ასახული უნდა იქნას 2006 წლის 6 თვის საბალანსო მონაცემების შედგენისას.

დასკვნა

მთლიანობაში, მიმდინარე წლის იანვარ-ივნისში მაუწყებლის მიერ განხორციელებული საქმიანობა დადებითად უნდა ჩაითვალოს. ორგანიზაცია, არსებული ფინანსური რესურსების ფარგლებში ახორციელებდა მაქსიმალურად

შეზღუდულ ხარჯვით პოლიტიკას, რათა არ შექმნილიყო მიმდინარე საკასო დეფიციტი, თუმცა ორგანიზაციის სისტემური განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებები გაცილებით მეტ დანახარჯებს მოითხოვს ერთჯერადი ინვესტიციის სახით. ეს პირველ რიგში უკავშირდება ტექნიკური გადაიარაღების პრობლემას. ამ მიზნით აუცილებელია ძალისხმევის მიმართვა ეკონომიკური საქმიანობიდან მისაღები შემოსავლების გაზრდისათვის.